# აჭარა

გამოცემის 101-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№20 (24.900) შაბათი, 5 - 7 მარტი, 2022 წ. 50 თეთრი


**გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით**



დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 10-15, შიდამთიან რაიონებში - 3-8, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

ხვალ მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, მომდევნო 2 დღეს - უნალექო ამინდი.

## კრიალოსანი იუსი

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადს ხელი მოაწერა. „ქვეყნის სახელით ხელს ვაწერ ევროკავშირის წევრობაზე განაცხადს. ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის გაკეთება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე - ეტაპი, რომელიც ჩვენი ისტორიის ახალ ფურცელს შლის და აგრძელებს ჩვენი წინაპრების ძალისხმევას, რომელიც საერთო ევროპულ ოჯახში გაერთიანებისკენ იყო მიმართული“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

* * *

დღეს ჩვენ ყველა ექსტრაორდინარულ სიტუაციაში ვიმყოფებით. იმედია, ამას ყველა ვაცნობიერებთ. ეს ექსტრაორდინარული სიტუაციაა ის ომი, რომელიც უკრაინაში მიმდინარეობს და დაკავშირებულია საქართველოს უსაფრთხოებასთან, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა. „დღეს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, შევინარჩუნოთ სიმშვიდე, ვინაიდან ვხედავთ თუ რა ძალასთან და რა შედეგებთან გვაქვს საქმე. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის კონსოლიდაცია და კონსოლიდაცია სახელმწიფო ინსტიტუტების გარშემო“, - აღნიშნა მან.

* * *

პარტია „ლელო“ რუსეთიდან საქართველოში ჩამოსვლის მსურველთა რიცხვის ზრდასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს: „მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, გამოქვეყნდეს სტატისტიკური მონაცემები რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების მიერ გასული შვიდი დღეს მანძილზე საქართველოს საზღვრის გადმოკვეთის მსურველთა რაოდენობაზე; ხელისუფლებამ დროულად მიიღოს შესაბამისი ზომები ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად, რაც ჩვენი აზრით, ამ ეტაპზე არის დროებითი სავიზო რეჟიმის შემოღება იმ ქვეყნებთან, რომლებიც ჩართული არიან სამხედრო აგრესიაში უკრაინის სახელმწიფოს წინააღმდეგ“, - აღნიშნულია განცხადებაში.

* * *

ბიურომ პრეზიდენტის მიმართვას, წლიური მოხსენებით პარლამენტის წინაშე 5 მარტს წარმდგარიყო, მხარი არ დაუჭირა. „ქართული ოცნების“ უმრავლესობის შეთავაზებაა, მოსმენა მომავალი სასესიო კვირის პირველივე სხდომაზე გაიმართოს, კერძოდ, 15 მარტს. „ჩვენი ფრაქციის პოზიციაა, პრეზიდენტს ხვალ მოვუსმინოთ, საქართველოს მოქალაქეებს გვაინტერესებს, რა კონსულტაციები ჰქონდა სალომე ზურაბიშვილს და როგორ წარმოუდგენია ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი პოზიცია“, - განაცხადა სხდომაზე ენმ-ის წევრმა ხატია დეკანოიძემ.

**მოამზადა**
**ია შველიძემ**

# პრემიერმა ქვეყნის დაჩქარებული წესით ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადს ხელი მოაწერა

***საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 3 მარტს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადს ხელი მოაწერა***





საქართველოს პრემიერ-მინისტრი

მის აღმატებულება საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს,
ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის პრეზიდენტს,
ბატონ ემანუელ მაკრონს

ასლი:
მის აღმატებულება ევროპული საბჭოს პრეზიდენტს,
ბატონ შარლ მიშელს

მის აღმატებულება ევროკომისიის პრეზიდენტს,
ქალბატონ ურსულა ფონ დერ ლაიენს

მის აღმატებულება ევროპარლამენტის თავმჯდომარეს,
ქალბატონ რობერტა მეცოლას

თქვენო აღმატებულებავ,

საქართველოს, როგორც ევროპულ სახელმწიფოს, რომელიც პატივს სცემს ევროკავშირის ხელშეკრულების მე-2 მუხლით განმტკიცებულ ღირებულებებს და ხელს უწყობს მათ დამკვიდრებას, აქვს პატივი, წინამდებარე წერილით წარმოადგინოს განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე, ევროკავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლის შესაბამისად.

განაცხადს თან ერთვის საქართველოს განცხადება ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

პატივისცემით,

ირაკლი ღარიბაშვილი

თბილისი, 3 მარტი, 2022 წელი

პრემიერმა საზოგადოებას პირდაპირ ეთერში მიმართა და განაცხადა, რომ ეს არის ისტორიული დღე და „კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე - ეტაპი, რომელიც ჩვენი ისტორიის ახალ ფურცელს შლის, აგრძელებს ჩვენი წინაპრების ძალისხმევას, რომელიც საერთო ევროპულ ოჯახში გაერთიანებისკენ იყო მიმართული. საქართველო არის ევროპული სახელმწიფო; ჩვენი ქვეყანა, საკუთარი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, ყოველთვის მიეკუთვნებოდა ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის სივრცეს და დღესაც თავისი ღირებული წვლილი შეაქვს მის დაცვასა და განვითარებაში. „ევროპელობა“ სხვა არაფერია თუ არა იმ ღირებულებებისა და ფასეულობების ერთობლიობა, რომელიც ქმნის ევროპას. თვით საქართველოს ისტორია, რომელიც თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაა, არის დასტური იმისა, რომ ეს ფასეულობები ქართველი ადამიანის ბუნებაშია და მაშასადამე, განუყოფელია.

ისტორიამ ქართველი ხალხის ევროპული არჩევანი სტრატეგიულ მიზნად აქცია. დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ჩვენი ქვეყანა თანმიმდევრულად განაგრძობს წინსვლას ამ მიმართულებით და დღევანდელი დღე ჩვენი ძალისხმევის კიდევ ერთი დემონსტრირებაა.“

ირაკლი ღარიბაშვილის შეფასებით, საქართველო, როგორც ევროკავშირის ასოცირებული პარტნიორი სახელმწიფო, წარმატებით ასრულებს შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

„დღეს საქართველო, ისე როგორც არასდროს, ახლოს არის ევროკავშირთან... საამაყოა, რომ 2014 წლიდან, ჩვენი ხელისუფლების თანმიმდევრულობითა და საზოგადოების მხარდაჭერით, საქართველო, როგორც ევროკავშირის ასოცირებული პარტნიორი, წარმატებით ასრულებს შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და მნიშვნელოვან პროგრესს განიცდის ევროკავშირთან სამართლებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური დაახლოების კუთხით...

შეუქცევადი სწრაფვა ევროპული დემოკრატიის მშენებლობისა და შესაბამისად, ევროკავშირის წევრობისკენ, საქართველოს გამთლიანებისკენ გადადგმული ნაბიჯია, მჯერა ევროკავშირში ინტეგრაციის გზას ჩვენს აფხაზ და ოს თანამემამულეებთან ერთად გავივლით და მათთან ერთად ავაშენებთ ერთიან ევროპულ, ძლიერ სახელმწიფოს... იმედი გვაქვს და ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ დღეს საფუძველი ეყრება ისტორიულ პროცესს, რომელიც საქართველოს ევროპული ოჯახის წევრობამდე მიგვიყვანს,“ - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საქართველოს ხელისუფლებამ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად განაცხადის დაჩქარებული წესით გაკეთების გადაწყვეტილება 2 მარტს მას შემდეგ მიიღო, რაც 28 თებერვალს, მიმდინარე ომის ფონზე, უკრაინამ გააკეთა დაჩქარებული წესით მოთხოვნა ევროკავშირის წევრობაზე. საქართველოსა და უკრაინის გარდა ევროკავშირი წევრობაზე განაცხადის გაკეთებას ელის მოლდოვასგანაც.

**მოამზადა**
**ანკა ჩხიკვაძემ**

# „ეთნიკური ნიშნით ადამიანების დისკრიმინაცია არის გაუგონარი მოვლენა ცივილიზებული სამყაროსთვის“



„საზოგადოებას კიდევ ერთხელ გვინდა შევახსენოთ, რომ სამხედრო კონფლიქტში საქართველოს ჩართვა, რაც სურს ომის პარტიას „ნაციონალური მოძრაობის“ სახით, იქნება უმძიმესი შედეგების მომტანი ჩვენი ქვეყნისთვის და მოსახლეობისთვის. შესაბამისად, ხელისუფლება გააკეთებს ყველაფერს, რათა ქვეყანას და ქართველ ხალხს ომი და მისი გამოუსწორებელი შედეგები აარიდოს. ომის პარტიის განზრახვის მორიგი გამოვლინებაა ახალი კამპანია, რომელიც მათ საქართველოში მყოფი რუსი ეროვნების მოქალაქეების წინააღმდეგ წამოიწყეს“, - ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ პარტიის ოფისში გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. როგორც მან აღნიშნა, „განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის გარემოება, რომ ამ კამპანიაში, რომელიც დისკრიმინაციისა და შოვინიზმის ძალზე უხეში გამოვლინებაა, ჩართული არიან „ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაკავშირებული ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომელთა ერთ-ერთი უმთავრესი მისია სწორედ რომ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღკვეთა და ეთნიკური შუღლის გაღვივების პრევენცია უნდა იყოს. აქვე აღვნიშნავთ, რომ წარმოებული კამპანია უხეშად არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლს, რომელიც ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას ყოველგვარი დათქმის გარეშე კრძალავს. უკრაინაში რუსეთის მიერ დაწყებულ ომს არავითარი გამართლება არ აქვს. დამოუკიდებელი სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა დაუშვებელია და ჩვენ ამ უმძიმეს აქტს კიდევ ერთხელ ვგმობთ. თუმცა, ამ ქმედებისთვის უდანაშაულო მოქალაქეების დასჯა ასევე სრულიად დაუშვებელი და კატეგორიულად მიუღებელია.

შეგახსენებთ, რომ ნაწილობრივ 2010 წელს, ხოლო სრულად 2012 წლის თებერვალში, რუსეთ-საქართველოს ომის დასრულებიდან 3 წლის შემდეგ, სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებამ შემოიღო რუსეთის მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის რეჟიმი. დღეს იგივე პოლიტიკური ძალა აგორებს კამპანიას საქართველოში რუსი ეროვნების მოქალაქეებისთვის დისკრიმინაციული შეზღუდვების შემოღების შესახებ. ეს ორმაგი სტანდარტიც ნათლად მიანიშნებს, თუ რა რეალური განზრახვა დგას ამ კამპანიის უკან.

დღეის მდგომარეობით, საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც წამოწყებულია ამ მასშტაბის კამპანია რუსი ეროვნების მოქალაქეების ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ. ეთნიკური ნიშნით ადამიანების დისკრიმინაცია არის გაუგონარი მოვლენა ცივილიზებული სამყაროსთვის. ამგვარი მიდგომით ჩვენ ვერ გავხდებით ევროკავშირის წევრი. გარდა ამისა, ეს არ არის ქართული კულტურის ნაწილი. შესაბამისად, ძალზე ლოგიკურია, რომ დისკრიმინაციული კამპანიის ავტორები სწორედ ის ადამიანები არიან, რომლებიც გამსჭვალული არიან საერთო ზიზღით ქართული კულტურისა და ზოგადად, ქართველობის მიმართ და მათი კამპანიის უკან კონკრეტული ანტისახელმწიფოებრივი მიზნები დგას. უკვე ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც კერძო კომპანიები რუსი ეროვნების მოქალაქეებს მომსახურებაზე უარს ეუბნებიან, ან მომსახურების მისაღებად დისკრიმინაციულ დათქმებს უწესებენ. არის სერიოზული საფრთხე იმისა, რომ ამგვარმა მიდგომამ უფრო ფართო ტენდენციაც შეიძინოს და რუსი ეროვნების მოქალაქეების ფიზიკურ შეურაცხყოფაშიც გადაიზარდოს.

იხ. მე-7 გვ.

დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! ☎ 27-48-93

# აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს დახმარება – ომში დაღუპულთა დედებსა და მეუღლეებს

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო, დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებით, 2008 წლის აგვისტოში განვითარებული საომარი მოქმედებების შედეგად და 2012 წელს ავღანეთის სამშვიდობო მისიაში დაღუპული სამხედრო მეომრების დედებსა და მეუღლეებს 1000-1000 ლარს გადასცემს, - ამის შესახებ ინფორმაცია ჯანდაცვის სამინისტრომ გაავრცელა. უწყების ცნობით, გარდა ამისა, 8 აგვისტოს, სამინისტრო, 2008 წლის აგვისტოში განვითარებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების, მიღებული დაზიანებების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მეომრების, ასევე, 2012 წელს ავღანეთში საერთაშორისო სამხედრო ოპერაციის შესრულების დროს დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებს გაუწევს მატერიალურ დახმარებას, თითოეულს - 3000 ლარის ოდენობით.

პროგრამით 27 ოჯახი ისარგებლებს.

# ქუჩები და სკვერები იწმინდება

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

***უხვთოვლიანმა ზამთარმა დააზიანა დაბა შუახევის სკვერებსა და ქუჩებში არსებული მრავალწლიანი ნარგავები***

თითქმის სამი თვის განმავლობაში ყველგან იდო თოვლი, დატეხილ-დაგლეჯილი მცენარეებისგან სკვერები და ქუჩები არ იწმინდებოდა. როგორც კი ხიჭაურის დასახლებაში, დაბა შუახევსა და ზამლეთში თოვლი დადნა, ა(ა)იპ «შუახევის კომუნალური სერვისის» მეეზოვეები გაწმენდით სამუშაოებს შეუდგნენ.

- სამი დღის განმავლობაში 20-მდე მეეზოვემ სამ ჰექტარამდე ტერიტორია დაასუფთავა. წინა წლებში ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის ხიჭაური-ზამლეთის 16-კილომეტრიან მონაკვეთზე გზისპირებიც იწმინდება, წელს ასეთი სამუშაოები 9-კილომეტრიან მონაკვეთზე ვერ შესრულდება, რადგან საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. დასუფთავების შემდეგ, ყველგან ახალი სანაგვე ურნები დაიდგმება. სოფლებში თოვლის დადნობისთანავე გავალთ. იაპონიის საელჩოს თანადგომით შეძენილი სპეცდანიშნულების მანქანა გვყავს. ტრანსპორტი გომარდულს, მთა ღომასა და მთა ჩირუხს მოემსახურება, - გვითხრა «შუახევის კომუნალური სერვისის» დირექტორმა ზაზა დავითაძემ.



# მგზავრმა რა დააშავა?!

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

***12 მილიონ ლარზე მეტია მობილიზებული ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის ხიჭაური-ჩანჩხალოს ხიდის 9-კილომეტრიანი მონაკვეთის სარეაბილიტაციოდ. საკონკურსო შერჩევით «ზიმო-7»-მა გაიმარჯვა***

საწყის ეტაპზე სამუშაოები ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად მიმდინარეობდა. რიგ მონაკვეთზე მოანგრიეს კლდეები, ამოიყვანეს საყრდენი კედლები, გაკეთდა სანიაღვრე არხები, ასფალტის პირველი ფენაც დააგეს. ყველა იმედოვნებდა, რომ კომპანია სამუშაოებს მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დაასრულებდა.

დეკემბრის ბოლოს, დიდთოვლობის გამო, სამუშაოები შეჩერდა. გავრცელდა ხმა, რომ ავტომანქანების მძღოლებმა, მექანიზატორებმა, დროებით დასაქმებულმა პერსონალმა ანაზღაურების მიუღებლობის გამო მიატოვეს სამუშაოები.

საუბედუროდ, «წყაროზე ნათქვამი» სიმართლე აღმოჩნდა - გაკოტრებული კომპანია მუშახელს ხელფასს ვეღარ უხდიდა... მოუწესრიგებელი გზა მგზავრებს ორ თვეზე მეტია დისკომფორტს უქმნის.

«გაკოტრებული კომპანია საავტომობილო გზის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ვეღარ გააგრძელებს. დამკვეთი ორგანიზაცია დარჩენილ სამუშაოებზე კონკურსს გამოაცხადებს და გამარჯვებული ფირმა ან კამპანია დაასრულებს რეკონსტრუქციას», - გვითხრეს «ზიმო-7»-ის წარმომადგენლებმა.

გაზაფხული დადგა. მალე გოდერძის უღელტეხილზე, დიდთოვლობის გამო შეზღუდული სატრანსპორტო მიმოსვლა აღდგება. ადგილობრივ მოსახლეობას მოწესრიგებული გზა უნდა ემსახურებოდეს, რაც კითხვითი ნიშნის ქვეშაა. ჩანჩხალოსა და კლდისუბნის (სამერცხლიას) მონაკვეთზე ათობით კუბური მეტრი კლდის ქანია მოსანგრევი. მსგავსი სამუშაოები არაა დასრულებული გორხანაულის მონაკვეთზე. კლდის ჩამოშლა კვლავ შეაფერხებს ტრანსპორტის მიმოსვლას.

უსახურად გამოიყურება მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორია დაბა შუახევში. დაბის კეთილმოწყობის მესამე ეტაპზე სამუშაოები მაგისტრალის რეკონსტრუქციასთან იყო დაკავშირებული. დასასრულებელია საყრდენი კედლის ამოყვანა, მისი დეკორატიული ფილებით მოპირკეთება. ღიად დარჩენილი სანიაღვრე არხები ცხელ დღეებში ანტისანიტარიის ბუდედ გადაიქცევა.



# ქარელელი პედაგოგი - ქიძინიძეებში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***ქიძინიძეების საჯარო სკოლას წლებია მარინა გოგიტიძე ხელმძღვანელობს. სკოლაში დასაქმებული 20-მდე პედაგოგიდან ნახევარზე მეტი ქალია. სამი წლის წინ საკონკურსო შერჩევით, სკოლაში ინგლისური ენის მასწავლებლად მუშაობა ქართლელმა მარიამ ხომასურიძემ დაიწყო***

ნაყოფიერი და კვალიფიციური მუშაობით მან კოლეგების, აღსაზრდელების განათლების სისტემის შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელთა ყურადღება მიიპყრო. ქიძინიძეებში მისი პედაგოგიური საქმიანობის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე და დაბადებიდან მრგვალი თარიღი აღინიშნა.



ამაგდარ პედაგოგს შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, საკრებულოს წევრმა ედუარდ გოგრაჭაძემ, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე ემზარ აბაშიძემ, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის შუახევის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ლევან ნადირაძემ ღირსსახსოვარი თარიღი, დედის დღე მიულოცეს, საპატიო დიპლომი და სამახსოვრო საჩუქარი გადასცეს.

- ნახევარი საუკუნეა პედაგოგიურ სარბიელზე ვარ. ქიძინიძეებში მუშაობა, აქაურებთან ურთიერთობა ჩემს მეხსიერებას ლამაზ მოგონებად შემორჩება. დედას, ბებიას, მეოჯახე ქალს და მასწავლებელს ამ კუთხის წარსულსა და დღევანდელობაზე ბევრი მქონდა გაგონილი, მაგრამ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. ჩემი შრომა არსად ისე არ დაფასებულა, როგორც აქ. პანდემიის პირობებში სკოლის დირექტორმა მშობლიურ ქართლში დარჩენა და ონლაინ რეჟიმში გაკვეთილების ჩატარება შემომთავაზა, მაგრამ სოფელში ჩამოსვლა, აღსაზრდელებთან, კოლეგებთან ურთიერთობა ვამჯობინე, - გვითხრა მარიამმა.

იმ დღეს სამახსოვრო საჩუქარი გადასცეს ცირა დავითაძეს, ლამზირა მუკუტაძეს, ირმა თოიძეს, ანჟელა მოსიძეს, მანანა ფუტკარაძეს, მანანა, გულნარა გოგიტიძეებს, ნელი ბეჟანიძეს, ჯულიეტა შავაძეს.

# „ჩვენ ვდგავართ უკრაინის გვერდით!“

„საქართველო შეუერთდა გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციას „რუსეთის აგრესიით გამოწვეული ადამიანის უფლებების მდგომარეობა უკრაინაში“, რომელიც მიღებულ იქნა საგანგებო დებატების შედეგად და რომელიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს უკრაინაში არსებულ უმძიმეს ჰუმანიტარულ ვითარებას. ჩვენ ვდგავართ უკრაინის გვერდით!“, - ასე გამოეხმაურა სოციალურ ქსელ twitter-ში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2022 წლის 4 მარტს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს საგანგებო დებატების ფარგლებში მიღებულ რეზოლუციას.

*ცნობისთვის: რეზოლუციაში ადამიანის უფლებათა საბჭო უმკაცრესად გმობს უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიით გამოწვეულ ადამიანის უფლებათა დარღვევებს; კიდევ ერთხელ ადასტურებს მის ძლიერ ერთგულებას უკრაინის სუვერენიტეტის, პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიულ მთლიანობისადმი მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.*

*ამასთან, იგი მოუწოდებს რუსეთს უკრაინის საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიიდან დაუყოვნებლივ და სრულად გაიყვანოს სამხედრო ძალები და რუსეთის მიერ მხარდაჭერილი შეიარაღებული ჯგუფები; ხაზს უსვამს ადამიანის უფლებების და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევებზე პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის მნიშვნელობას და გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებელი, საერთაშორისო საგამოძიებო კომისიის დაუყოვნებლად ჩამოყალიბების თაობაზე. საგამოძიებო კომისიის მანდატი მათ შორის მოიცავს ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევებისა და მასთან დაკავშირებული დანაშაულობების გამოძიებას და ასევე მათი გამომწვევი მიზეზების დადგენას, რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის წინააღმდეგ მიმდინარე აგრესიის კონტექსტში.*

ამირან გურიელიძე

# პროგრამა დაიწყო

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

ტყვიის ექსპოზიციის უფასო კვლევის პროგრამა ორსულთა და მეძუძური დედებისთვის აჭარის ტერიტორიაზე დაიწყო.

აჭარის ჯანდაცვის სამინისტრომ გამოაქვეყნა მისამართები, სადაც ორსულებს, პროგრამის ფარგლებში, შეუძლიათ ჩაიტარონ უფასო კვლევა.

კვლევის ჩატარება შესაძლებელია შემდეგ კლინიკებში:

ბათუმის საერთაშორისო საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი - ბათუმი, გენერალ ასლან აბაშიძის ქ. №14; ბათუმის სამედიცინო ცენტრი (BMC) - ბათუმი, კახაბრის ქ. №36; მ. იაშვილის სახელობის ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრალური ჰოსპიტალი - ბათუმი,




აეროპორტის გზატკეცილი ქ. №64; ირის ბორჩაშვილის სახელობის ჯანმრთელობის ცენტრი (მედინა) - ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის ქ. №237; ქ. ბათუმის სამშობიარო სახლი - ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №39; ქობულეთის ევექსის ჰოსპიტალი - ქობულეთი, აბაშიძის №18; ბათუმის ევექსის პოლიკლინიკა - ბათუმი, სელიმ ხიმშიაშვილის ქ. №20; ჩაქვის სამედიცინო ცენტრი - ჩაქვი, თამარ მეფის ქ. №40; საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი - ბათუმი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქ. №30; საზღვაო ჰოსპიტალი - ქ. ბათუმი, მელიქიშვილის ქ. № 102; ქ. ბათუმის №4 პოლიკლინიკა - ბათუმი, ტაბიძის ქ. №7; თამარის დასახლება საოჯახო მედიცინის ცენტრი - ქ. ბათუმი, ტბეთის ქ. №4; ქ. ბათუმის №1 პოლიკლინიკა - მისამართი: ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქ. № 2; ხელვაჩაურის სამედიცინო ცენტრი - ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირის მე-7 შეს. - 3.

# უხვი ნალექი – მაღალმთიან აჭარაში

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

თოვლის საფარისგან საავტომობილო გზები იწმინდება მაღალმთიან აჭარაში.



გვიან ღამით მოსული უხვი ნალექის შედეგად აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტი ხულოს, შუახევის და ქედის მუნიციპალიტეტის მაღალი ზონის სოფლებში თოვლის საფარისგან საავტომობილო გზებს ინტენსიურ რეჟიმში წმენდს.

ამ ეტაპზე, რამდენიმე თემთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზები იწმინდება.

საავტომობილო გადაადგილება არცერთი მიმართულებით შეზღუდული არ არის.

# რუსეთის დეზინფორმაციის ნარატივები და ყბადაღებული მითები

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*საქართველომ არჩევანი კარგა ხანია გააკეთა, მოსახლეობის უმრავლესობა ევროატლანტიკური კურსის მომხრეა. როგორც ცნობილია, რუსეთი ამ მიმართებით არაერთ დესტრუქციულ ნაბიჯს დგამს, ერთ-ერთია ჰიბრიდული ომი ანუ პროპაგანდისტული ნარატივები, რასაც მოსკოვი ახლო სამეზობლოში გავლენის მოპოვებისა და განმტკიცებისთვის ახორციელებს. ამ საფრთხეს დასავლეთი სათანადოდ აცნობიერებს*

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ამას წინათ გამოაქვეყნა დოკუმენტი „რუსული დეზინფორმაციის ხუთი ყველაზე შეუპოვარი ნარატივი“. მასში მოცემულია ის თეზისები, რომლებსაც რუსული პროპაგანდა სასურველი შედეგების მისაღწევად იყენებს: 1. რუსეთი უდანაშაულო მსხვერპლია; 2. ისტორიული რევიზიონიზმი... ანუ წლების განმავლობაში რუსეთმა შეადგინა ცრუ ნარატივების ნაკრები, რომელსაც კრემლის პროპაგანდისტული მანქანა აწვდის საინფორმაციო გარემოს. ეს ერთგვარი თარგია, რაც კრემლს საშუალებას აძლევს, ისინი სიტუაციას მოარგოს, უცვლელი კი მხოლოდ ერთი რამ რჩება - სიმართლის სრული უგულებელყოფა; 3. დასავლური ცივილიზაციის კოლაფსი გარდაუვალია; 4. სახალხო მოძრაობები და რევოლუციები აშშ-ის მიერაა მხარდაჭერილი და დაფინანსებული; 5. რეალობა ისეთია, როგორიც კრემლს უნდა.



დღეს მათგან მხოლოდ პირველ ორზე გავამახვილებთ ყურადღებას.

პირველი ნარატივია, რომ რუსეთი უდანაშაულო მსხვერპლია. კრემლის პროპაგანდისტული მანქანა დასავლეთში ავრცელებს მოსაზრებას, რომ დასავლეთს სურს მისი დაშლა მარტივ მამრავლებად. რეალურად, რუსეთს არავინ დასხმია თავს, პირიქით კი მოხდა: მან განახორციელა აგრესია საქართველოს, უკრაინის მიმართ, მოახდინა აფხაზეთის, სამაჩაბლოს, ყირიმის და დონბასის ოკუპაცია-ანექსია, ახლა კი ფართომასშტაბიან ომს აწარმოებს უკრაინის მიმართ. ამ რუსულ ნარატივს დასავლეთმა თავის დროზე სათანადო ყურადღება არ მიაქცია, თამამად შეიძლება ითქვას, რომ თუნდაც 2008 წელს მსოფლიო უფრო თანმიმდევრული რომ ყოფილიყო რუსეთთან დაკავშირებით, ახლა ცივილიზებული მსოფლიო უკრაინის კრიზისს არ მიიღებდა. დღეს უკვე ამერიკელი ანალიტიკოსებიც აღიარებენ, რომ ნავთობის ფასების აწევა შეცდომა იყო, საქართველოს მოუწია დასავლეთის შეცდომების გასწორება... ამჟამად უკრაინა მთელი მსოფლიოს თემაა. თუ რუსეთმა მოახერხა უკრაინის რუსულ ორბიტაზე დაბრუნება, ეს მთლიანად შეცვლის ევროპის უსაფრთხოების დოქტრინას, ამიტომაც ცდილობს დასავლეთი რუსეთის შეკავებას უკრაინაში. რამდენად გამოუვა, დრო დაგვანახებს.

დასავლური ცივილიზაციის კოლაფსი გარდაუვალია - ამ ნარატივს კრემლი სულ უფრო ხშირად ახმოვანებს. რეალურად, მდგომარეობა სხვაგვარია. რუსეთი რომ ჩამორჩება დასავლეთს განვითარებით, ეს ცხადია, რომ აღარაფერი ვთქვათ ამ უკანასკნელის ტექნოლოგიებსა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე. თავად რუსი სპეციალისტებიც აღიარებენ, რომ რუსული შავი ზღვის ფლოტის გასანადგურებლად აშშ-ს სჭირდება მხოლოდ 2 საათი. რუსეთის მიმართ დაწესებული რადიკალური სანქციები თავის შედეგს იძლევა...

გადავიდეთ მითებზე, რომელსაც რუსეთი საქართველოსთან მიმართებით ახმოვანებს. უმთავრესი რუსული მითი ის არის, რომ ქართველები დასავლეთთან მეგობრობის გამო დავკარგავთ ეროვნულობას, კულტურას... მართალი ის გახლავთ, რომ თავად რუსეთი ებრძვის დემოკრატიის ყოველგვარ გამოვლინებას, ახშობს თავისუფალ აზრს საკუთარ ქვეყანაშიც კი, ყოფილ საბჭოთა „თანამოძმე“ რესპუბლიკებს კი სწორედ რუსეთი უზღუდავდა ეროვნულობას მშობლიური ენების რუსულზე გაცვლის მოთხოვნით. გარდა ამისა, რუსეთის ქმედებებმა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისადმი მილიონობით ადამიანი იმსხვერპლა, დიდი გამჭრიახობა არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ რუსეთი შეეცდება საქართველოში ანტიდასავლური რიტორიკის გამძაფრებას და საწინააღმდეგო განწყობის შექმნას. სწორედ ასეთ მოსაზრებას ავითარებენ პოლიტოლოგები. მათი აზრით, პოსტსაბჭოთა ქვეყნები ყოველთვის იქნება რუსული პროპაგანდის სამიზნე... რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი ძირითადად ნატოს საწინააღმდეგოდაა მიმართული.

მითია, რომ ნატო-საქართველოს თანამშრომლობაში პროგრესი არ აღინიშნება. მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ ის მუდმივად პროგრესირებს და ამ პროცესში საქართველო ყოველ ეტაპზე სულ უფრო უახლოვდება ალიანსს. დღეს საქართველოს ასპირანტის ანუ გაწევრიანების მსურველი ქვეყნის სტატუსი აქვს. ოფიციალურად საქართველოს გაწევრიანების სამოქმედო გეგმა მაპ-ი არ აქვს, თუმცა 2008 წლიდან ახორციელებს წლიურ ეროვნულ პროგრამას, რომელიც თავისი არსით სწორედ მაპ-ის პრაქტიკული ნაწილია. ნატომ არაერთხელ აღნიშნა, რომ საქართველოს წევრობისთვის მოსამზადებლად ყველა საჭირო პრაქტიკული ინსტრუმენტი აქვს. ეს ნიშნავს, რომ ნატოს მიერ ე. წ. მაპ-ის გადმოცემა მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილების ნაწილად რჩება. გარდა ამისა, 2014 წელს, ნატომ საქართველოს არსებით ღონისძიებათა პაკეტი გადასცა, რაც საქართველოს უსაფრთხოების გამყარებისა და თანამშრომლობის თვისობრივად ახალი მექანიზმია.

> ,, *მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ ის მუდმივად პროგრესირებს და ამ პროცესში საქართველო ყოველ ეტაპზე სულ უფრო უახლოვდება ალიანსს. დღეს საქართველოს ასპირანტის ანუ გაწევრიანების მსურველი ქვეყნის სტატუსი აქვს. ოფიციალურად საქართველოს გაწევრიანების სამოქმედო გეგმა მაპ-ი არ აქვს, თუმცა 2008 წლიდან ახორციელებს წლიურ ეროვნულ პროგრამას, რომელიც თავისი არსით სწორედ მაპ-ის პრაქტიკული ნაწილია*

მეორე მითი - თითქოს საქართველოს ნატოში გაწევრიანების სანაცვლოდ მოუწევს უარის თქმა ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებაზე, მთლიანად აცდენილია რეალობას. ნატოში გაწევრიანება არ ნიშნავს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უარის თქმას. სინამდვილეში ნატო მყარად უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ალიანსის პოზიციით, ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. ნატო მუდმივად მოუწოდებს რუსეთს, გააუქმოს გადაწყვეტილება საქართველოს რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების შესახებ და გაიყვანოს საოკუპაციო ჯარები საქართველოდან.

მესამე მითი: საქართველოს საუკეთესო ვარიანტი ნეიტრალიტეტია. ნეიტრალიტეტის გამოცხადება საერთაშორისოდ აღიარებულ შეთანხმებას უნდა ეფუძნებოდეს, კერძოდ, ნეიტრალური სახელმწიფო იქნები მაშინ, როცა ძლიერი სახელმწიფოები აღიარებენ ამ ქვეყნის ნეიტრალიტეტს და ამავდროულად, წარმოადგენენ ამ სტატუსის გარანტიებს. მაგალითად, შვეიცარიამ, ავსტრიამ მუდმივი ნეიტრალიტეტი საერთაშორისო შეთანხმებით მიიღეს. რაც შეეხება გარანტიებს, საქართველოს შემთხვევაში რუსეთი ვერ გახდება ნეიტრალიტეტის თანაავტორი, ვინაიდან ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიები...

მეოთხე მითი: ნატო არაა ქართველი ხალხის არჩევანი. სინამდვილეში, ნატოში გაწევრიანება საქართველოს უმრავლესობის არჩევანია. ამას ადასტურებს საზოგადოებრივი აზრის უამრავი ადგილობრივი თუ საერთაშორისო კვლევა, ყველაზე მნიშვნელოვანი კი 2008 წლის იანვრის პლებისციტია, როცა მოსახლეობის 77 პროცენტმა მხარი დაუჭირა ნატოში საქართველოს გაწევრიანებას. ეს გადაწყვეტილება თაობათა არჩევანია, ამიტომ ევროპულ გზაზე აუცილებლად უნდა გავიდეთ. დიდი ძალისხმევა, მთავრობის მოქნილი პოლიტიკა და სიბრძნე, საზოგადოების ერთიანობაა საჭირო, რომ რუსულმა პროპაგანდამ მიზანს საქართველოში ვერ მიაღწიოს.

## „არ ვაპირებთ უკრაინაში შესვლას არც ხმელეთით, არც უკრაინის საჰაერო სივრცეში“

ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგის ინფორმაციით, ალიანსის წევრმა ქვეყნებმა განიხილეს უკრაინის თხოვნა მისი საჰაერო სივრცის ჩაკეტვასთან დაკავშირებით, თუმცა მხარი არ დაუჭირეს.

„ეს იქნება კიდევ უფრო სახიფათო, უფრო დამანგრეველი და მოიტანს დიდ ადამიანურ წამებას, ამიტომ ჩვენ მკაფიოდ განვაცხადეთ, რომ არ ვაპირებთ უკრაინაში შესვლას არც ხმელეთით, არც უკრაინის საჰაერო სივრცეში. რა თქმა უნდა, ერთადერთი გზა საჰაერო სივრცის ჩასაკეტად არის ნატოს სამხედრო თვითმფრინავების გაგზავნა უკრაინის საჰაერო სივრცეში და ჩაკეტილი საჰაერო ზონის შექმნა რუსული თვითმფრინავების ჩამოგდების გზით.

ჩვენ გვესმის სასოწარკვეთა, მაგრამ ასევე გვჯერა, რომ თუ ამას გავაკეთებთ, ეს საბოლოოდ მიგვიყვანს სრულმასშტაბიან ომამდე ევროპაში უფრო მეტი ქვეყნის ჩართულობით და ბევრად მეტ ადამიანურ ტანჯვამდე. ეს არის მიზეზი იმისა, რატომაც მივედით იმ მტკივნეულ გადაწყვეტილებამდე, რომ გამოვიყენოთ მძიმე სანქციები, მნიშვნელოვანი დახმარება გავუწიოთ უკრაინას, გავაძლიეროთ ეს დახმარება, მაგრამ ეს გავაკეთოთ ხმელეთსა და ცაში ნატოს ძალების უშუალოდ კონფლიქტში ჩაურთველად“, - განაცხადა სტოლტენბერგმა.

**ამირან გურიელიძე**

## უცხოეთი

უკრაინის თავდაცვის მინისტრმა ალექსეი რეზნიკოვმა კომენტარი გააკეთა რეგიონებში შექმნილი სიტუაციის შესახებ, რასაც ადგილობრივი გამოცემა „უნიანი“ ავრცელებს. მინისტრის თქმით, უკრაინის დამცველებმა მტერი არაერთი მიმართულებით შეაჩერეს და ბევრგან შეტევაზეც გადავიდნენ, ახლა კი მთავარია, პოზიციები შეინარჩუნონ. როგორც რეზნიკოვმა განმარტა, უკრაინა უკვე 196 საათია, უმკლავდება ოკუპანტებს. „რთულია სიტუაცია სამხრეთით, სადაც ბოლო საათებში მტერმა ცეცხლი გახსნა ზაპოროჟიის ატომური ელექტროსადგურის ტერიტორიაზე, მაგრამ ისეთი საბრძოლო ჟინია კაზაკების მხარეში, რომ ოკუპანტები დამარცხებისთვის არიან განწირულნი“, - აღნიშნა მან.

* * *

რუსეთ-უკრაინის დელეგაციებს შორის მოლაპარაკებების მეორე რაუნდი, რომელიც კვლავ ბელარუსში გაიმართა, ძირითადად დაეთმო პირველი რაუნდის შედეგებზე ორი ქვეყნის ლიდერების მოსაზრებათა გაცნობას, ცეცხლის შეწყვეტას, ჰუმანიტარული დერეფნის მოწყობას და შესაძლო დაზავების საკითხებს. მხარეებმა მოლაპარაკებების შემდეგ მოკლე განცხადებები გააკეთეს. უკრაინის დელეგაციის წარმომადგენლის მიხაილ პოდოლიაკის თქმით, კიევმა ვერ მიიღო ის შედეგი, რასაც ელოდა, ამიტომაც მოლაპარაკებები გაგრძელდება. მესამე რაუნდი ისევ ბელარუსში მომდევნო კვირის დასაწყისში გაიმართება.

* * *

მოლდოვის ხელისუფლება განიხილავს დსთ-დან გასვლის საკითხს მას შემდეგ, რაც საკმარის პროგრესს მიაღწევს ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე, - განაცხადა პრეზიდენტმა მაია სანდუმ. როგორც მან აღნიშნა, წევრობაზე განაცხადის გაკეთება არ ნიშნავს, რომ ქვეყანა ავტომატურად გახდება ევროკავშირის წევრი. „ვაცნობიერებთ, რომ წინ რთული გზაა, ვიცით და მზად ვართ. ეს მოითხოვს მოსახლეობის, სახელმწიფო მოხელეებისა და კერძო სექტორის ერთიან ძალისხმევას“, - აღნიშნა მან. მოლდოვის პრეზიდენტმა დასძინა: განაცხადი რომ დაკმაყოფილდეს, ქვეყანა ევროკავშირის სტანდარტებს უნდა მიუახლოვდეს, ამასთან, ექნებათ დრო დსთ-სთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად. *ცნობისათვის: მოლდოვამ 3 მარტს ევროკავშირის წევრობაზე განაცხადით საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს მიმართა, რამდენიმე დღეში კი ბრიუსელსაც წარუდგენს.*

* * *

ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო დასავლეთის ქვეყნებს რუსეთისა და ბელარუსის ომში „ჩახრჩობის“ მცდელობაში ადანაშაულებს. მისი განცხადებით, მიუხედავად შექმნილი სიტუაციის დარეგულირებისკენ მოწოდებებისა, დასავლეთს სურს, უკრაინაში კონფლიქტი გაიწელოს. „მათ იქ არ სჭირდებათ არავითარი მშვიდობა, მათ სურთ ომი და რაც მეტ ხანს - მით უკეთესი“, - აღნიშნა ლუკაშენკომ. მანამდე იგი აცხადებდა, რომ „ბელარუსს არავინ სთხოვს უკრაინის კონფლიქტში ჩართვას. რესპუბლიკის არმიას არ მიუღია და არც მიიღებს მონაწილეობას უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარე „რუსეთის სამხედრო ოპერაციაში“.

**მოამზადა ია შველიძემ**

# ამ ეტაპზე სურსათის დეფიციტის საშიშროება არ არსებობს

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*ევროპაში გაჩაღებული ომის კვალდაკვალ, უკვე შეიჩნევა სურსათზე ფასის უპრეცედენტო ზრდის პროცესი. ამ ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება შიდა ბაზრის საკუთარი პროდუქციით უზრუნველყოფას, რადგან არავინ იცის, რა გველოდება. ცხადია, განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს საგაზაფხულო სამუშაოები, რომელიც სოფლად იწყება.*

რა კეთდება ამ მიმართულებით, ამაზე გვესაუბრება ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრარული განვითარების დეპარტამენტის უფროსი **ლევან ბოლქვაძე.**

**- რა პროგრამებს ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო საგაზაფხულო სამუშაოებთან დაკავშირებით?**

- 2022 წლისთვის ცალკე დეპარტამენტი ახორციელებს სოფლის მხარდამჭერ პროგრამებს, რომლის მიზანი საოჯახო მეურნეობების განვითარებაა. ფერმერთა საჭიროებებიდან გამომდინარე, ვიღებთ განაცხადებს, რომლებსაც ამუშავებს სპეციალური კომისია. როგორც კი გამოვლინდებიან გამარჯვებული ბენეფიციარები, ვაწვდით პროგრამით გათვალისწინებულ თანადაფინანსებას და სერვისებს. ხდება ნერგების თუ ტექნიკური საშუალების შესყიდვა და სხვა. რაც შეეხება საგაზაფხულო სამუშაოებს, ხუთივე მუნიციპალიტეტში შექმნილია სამინისტროს ექსტენციის სამსახურები, რომლებსაც, აგროვადების გათვალისწინებით, შემუშავებული და გაწერილი აქვთ ყოველთვიური გეგმები, წლის რომელ პერიოდში რა სამუშაოები უნდა ჩატარდეს. ამისათვის ექსტენციონისტები სოფლად გადიან დაინტერესებულ ფერმერებთან, სამიზნე ჯგუფებთან და უწევენ ექსტენციურ მომსახურებას, ვგულისხმობ ტრენინგებს და სწავლებას. უხსნიან მიწის დამუშავებას, ხე-მცენარეების შეწამვლას, ერთწლიან კულტურებში საჩითილეების მოწყობას, თესვას და სხვა. ეს თემა ძალიან დიდია,

*ამ ბოლო დროს მეფრინველეობა-მეცხოველეობის მიმართულება კარგადაა განვითარებული. განსაკუთრებით გააქტიურდნენ ხორცსა და კვერცხზე ფასის მატების გამო. მოგეხსენებათ, ფასთა წარმოქმნას ბაზარი არეგულირებს და სადაც არის მოთხოვნა, იქ წარმოიქმნება მიწოდების ობიექტებიც. განსაკუთრებით გამოირჩევა მეცხოველეობის ფერმები მაღალმთიან აჭარაში, სადაც იალაღებია და პირუტყვის გამოკვება ნაკლებ დანახარჯს ითხოვს*

თუ დეტალურად მივყვებით, თითოეული კომპონენტი რიგ ღონისძიებებს მოიცავს, რომლის ახსნისთვის საგაზეთო წერილი არ გვეყოფა.

**- ბატონო ლევან, თუ შეიძლება, მიმდინარე პერიოდში გასათვალისწინებელ ძირითად მომენტებზე გავაკეთოთ აქცენტი.**

- მაშინ დავიწყებ მარტის პირველი რიცხვებიდან, რა სახის ღონისძიებები უნდა გაატარონ ამ დარგის სპეციალისტებმა თუ დაინტერესებულმა პირებმა. ერთწლიანი კულტურებისთვის უნდა მოვამზადოთ საჩითილე დახურული კვალ-სათბურები, სადაც დაითესება ბოსტნეულის (კიტრი, პომიდორი, სალათა) თესლები, რომ მიიღონ ჩითილები მისი შემდგომში ბოსტანში გადარგვისთვის. ეს ყველა მეურნემ იცის.

**- თესლი სად უნდა შევიძინოთ? სუპერმარკეტებშიც იყიდება...**

- არა, უმჯობესია, აპრობირებულ, ლიცენზირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სარეალიზაციო მაღაზიებსა და ობიექტებში მიხვიდეთ, რადგან დაგაკვალიანებენ, რა და როგორ უნდა გააკეთოთ. ცხადია, ვგულისხმობ ამ საკითხში გაურკვეველ, დამწყებ მეურნეებს.

**- რაც შეეხება მრავალწლიან კულტურებს...**

- როგორც მეციტრუსეობის ზონის მცხოვრებლებს და ფერმერებს, ასევე კონტინენტალური ვაზის და ხეხილის კულტურების მებაღეებს (მხედველობაში მაქვს ქედა, შუახევი და ხულო - მთის ზონა), პირველი მარტიდან კი არა, მანამდე უნდა ჩაეტარებინათ პირველი წამლობითი ღონისძიება მცენარეთა დაცვის მიზნით, ანუ უნდა შეეწამლათ მცენარე მოსვენების ფაზაში. ამ ღონისძიებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შემდგომ სავეგეტაციო პერიოდში, როდესაც ხდება ყვავილობა, დაკვირტება, ყლორტების გახსნა, მწვანედ შეფოთვლა. წინა წლის ნარჩენ სოკოებს და ხეებზე გამოზამთრებულ მავნებლებს, რომ-



ლებიც სითბოსა და ტენის დადგომისთანავე მოცოცხლდებიან და ანადგურებენ ახალ კვირტს თუ ყვავილს, სხვა არაფერი შველის, მცენარის მოსვენებით ფაზაში წამლობის გარდა.

**- რითი უნდა შეიწამლოს ხე-მცენარე ამ დროს?**

- არის სხვადასხვა ქიმიური საშუალება, რომელიც ამ დროს უნდა მოვიხმაროთ ორმაგი, სამმაგი დოზით, ამა თუ იმ კულტურის თავისებურებების გათვალისწინებით. დოზირებას და წამალს შეგირჩევენ სპეციალური შხამ-ქიმიკატების სარეალიზაციო მაღაზიების კონსულტანტები. ამავე დროს, უნდა შევათეთროთ შტამბები. ამ პროცესს მხოლოდ ესთეტიკური დატვირთვა არ აქვს. მრავალწლიან მცენარეებზე, განსაკუთრებით ჩვენთან არსებული ტენის პირობებში, ხავსები და მღიერები მერქანზე სახლდებიან, რაც, ცხადია, აზიანებს მცენარეს.

**- რამდენად მავნეა ეს ორგანიზმები და რითი შევღებოთ შტამბები, უმეტესობა ხომ კირს იყენებს?**

- ხავსმღიერები (ლიქენები) სოკოსგან და წყალმცენარეებისგან შემდგარი ორგანიზმებია. ისინი მთელი ზედაპირით აქტიურად ითვისებენ მცენარისგან წყალსა და მასში გახსნილ ნივთიერებებს, კეტავენ კანის სასუნთქ უჯრედებს და ხელს უშლიან მცენარის შიგა ქსოვილში ჰაერის მიწოდებას, რითაც მცენარეს უსპობენ ნორმალური განვითარების შესაძლებლობას. გარდა ამისა, მასში იზრდება და თავს აფარებს სხვადასხვა მავნებელი. ხავსმღიერები, თანდათანობით იწვევენ მცენარის დაკნინებასა და საბოლოო კვდომას. აღსანიშნავია, რომ ლიქენები ადვილად იტანენ ხანგრძლივ და ძლიერ გამოშრობას და სათანადო პირობების შექმნისას ისევ ცოცხლდებიან. ხავსებსა და მღიერებთან საბრძოლველად ეფექტურია „რკინის ძაღა“, რომელიც სხვადასხვა დროს შემოაქვთ დიდი ქალაქების მაღაზიებში. მომწვანო-მოლურჯო ფერის მარილის კრისტალებია, შაბიამანს ჩამოჰგავს, მაგრამ უფრო ლურჯია. ის უნდა გავხსნათ ჩაუმქრალ კირთან ერთად წყალში, სათანადო დოზირებით და უნდა შევღებოთ ხის მერქანი, სადამდეც მიწვდება ადამიანის ხელი. ხავსმღიერების მოცილების გარდა, ეს ნაზავი სხვა ფუნქციასაც ასრულებს. მოგეხსენებათ, მარტის ამინდები: ხან დათბება, ხან ყინავს. ტემპერატურული ცვლილებების გამო, მცენარეს, ვთქვათ, დღისით, აღმოსავლეთის მხრიდან მზის ინტენსიური ნათება აქვს, ამ დროს მერქნის კანში იწყება წვენთა მოძრაობა. შეთეთრებული შტამბი კი სწრაფად ვერ თბება. თუკი ვერ შევათეთრეთ და წვენთა მოძრაობა არასწორი აგროვადით დაიწყება, სიცივეების შემთხვევაში ხის ნაწილი გაიყინება და მერქანს დახეთქავს. ფერმერები ამ მოვლენას ხშირად მავნებლებით ხსნიან, არადა, რიგითი ფიზიოლოგიური მოვლენაა. შემიძლია უფრო მარტივად ავხსნა. მაცივრის საყინულეში წყლით სავსე შუშის ბოთლი რომ შევდგათ, ხომ გახეთქავს ბოთლს? აი, ეს პრინციპია ხემცენარის შემთხვევაშიც.

**- კიდევ რისი გაკეთება შეიძლება ხის ადრე აყვავების თავიდან ასაცილებლად?**

- აგროწესებით დაშვებულია, დათბობის დროს ცივი წყლით იმ მდელოს მორწყვა, სადაც ბაღია გაშენებული, რომ დროზე ადრე არ გაიღვიძოს მცენარემ. ბოლო წლების მონაცემებით დავადგინეთ, რომ მარტის ბოლოს, აპრილის 20-25 რიცხვამდე, არსებობს საგაზაფხულო ყინვების საფრთხე. პროფესიონალები ამ მოვლენას იცნობენ ინვერსიული წაყინვების სახელწოდებით, რომლის შედეგად, მცენარე, რომელმაც დაიწყო წვენთა მოძრაობა და ემზადება ყლორტის გაშლისთვის, გაყინვის შემთხვევაში ზიანდება: ხდება მოყინვა, აწვა, არუჯვა... ხშირად, როდესაც მოსავალს კარგი პირი უჩანს, წაყინვების გამო, შესაძლოა, ნაყოფის 15-20% განადგურდეს, შემოსავალი დავკარგოთ. ფერმერი როგორც მცენარეს, ისე ბუნებას ერთდროულად უნდა აკვირდებოდეს. ყველამ იცის, რომ დაბლობში ამ დროს ყვავის ტყემალი, რომელსაც მარტის ან აპრილის ყინვები მომუჭავს, მოწვავს და მერე ამბობენ, ტყემალს არ ესხაო.

**- თუ ასეა, რატომ არ რწყავენ ტყემალს გაზაფხულზე?**

- მე აქ ვსაუბრობ მეურნეობებზე, ფერმერთა ბაღებზე, ვისაც ფინანსური გათვლები აქვს, მათ მოწყობილიც აქვთ სარწყავი არხები და სისტემები, რომელთა ამუშავებაც შესაძლებელია სწრაფად და მობილურად. რაც შეეხება ცალკეულ ხეს, მისი გადარჩენა შესაძლებელია იმ შეკირვით, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. ადრე კარგი მეურნე ეზოში, ჩრდილში შემორჩენილ თოვლს მიიტანდა ხის ძირებში, მალე არ გათბეს მიწა და ხეში წვენმა მოძრაობა არ დაიწყოსო. ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, თუმცა ახლაც ვიყენებთ ჩვენი მამა-პაპის ცოდნას, რომელიც უკეთ გამოგვადგება უახლეს ტექნოლოგიებთან და მეცნიერულ მიდგომებთან ერთად.

**- რაც შეეხება მიწათმოქმედებას...**

- მიწის დამუშავება ჯერ ადრეა, მაგრამ თუ მრავალწლიანი კულტურის გაშენებისთვის სჭირდებათ, ნიადაგის ღრმად დამუშავებაა საჭირო. თუ მიწა არ არის ისეთი ტენიანი, რომ ატალახდეს, ნიადაგის წინსწრებით დამუშავება უკეთეს შედეგს იძლევა. აპრილის ბოლოს - მაისის დასაწყისში ესა თუ ის მრავალწლიანი კულტურა რომ გააშენო, ნიადაგის კვალი, მინიმუმ 50-60 სანტიმეტრ სიღრმეზე უნდა გავიდეს. აქ იგულისხმება ციტრუსის, ვენახის ან ხეხილის ბაღების გაშენება. ცხადია, ყველა კულტურას თავისი ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება. აქედან გამომდინარე, ვინც მოგვმართავს, ყველას ვეხმარებით კონსულტაციით და ვუხსნით, რა, როდის და როგორ გააკეთოს.

**- მზად არის თუ არა სანერგე მეურნეობები პროდუქციის გასაცემად და მოქმედებს თუ არა ნერგების უფასოდ გადაცემის პროგრამა?**

- არა, უფასოდ ნერგებს ვერ გავცემთ, რადგან ამ პროცესმა ვერ გამოიღო დადებითი ეფექტი. აქვე აღვნიშნავ, რომ საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებს 62 აღიარებული, მსხვილი სანერგე მეურნეობა, რომელთა დასახელება დევს „დანერგე მომავალი“ პროექტის ვებ-გვერდზე. თავის მხრივ, ამ სანერგეებს აქვთ იმ ვაზის, ხეხილის, კენკროვნების ჩამონათვალი, რასაც აწარმოებენ. იქ არის მოცემული კონტაქტებიც და აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოს ჩათვლით შეძლებთ ნებისმიერთან დაამყაროთ ურთიერთობა. ცხადია, დაინტერესებულ პირებს საშუალება ეძლევათ, დაუკავშირდნენ ამ სანერგეების ხელმძღვანელებს, გააკეთონ განაცხადი, ინვოისი წარმოადგინონ სამინისტროში და ჩაერთონ ჩვენთან მოქმედ საოჯახო მეურნეობების განვითარების პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც შევძლებთ მივცეთ 70-30%-ზე ან 80-20%-ზე თანადაფინანსება.

**- აქედან რომელია ფერმერის წილი?**

- მცირე წილი ფერმერისაა, ხოლო მეტს ჩვენი ბიუჯეტი გადაუხდის, ასე რომ, სახელმწიფო მხოლოდ ამ პირობით ეხმარება მეურნეს. სულ უფასოდ გაცემამ არ გამოიღო სასურველი შედეგი.

**- ციტრუსის ნერგების შეძენა სად შეიძლება?**

- ციტრუსი სხვა თემაა, უფრო ჩვენს რეგიონშია, ამისთვის აგროსერვისცენტრს, ჩაქვის სანერგე მეურნეობას უნდა მიმართოთ. წინა წლის ნერგები უკვე გაიცა მოსახლეობაში. გასულ წელს არსებული ნამყენი, რომელიც კონდიციას მიაღწევს, მიმდინარე წლის შემოდგომაზე გავა სარეალიზაციოდ. ეს ისედაც მცირეფასიან ნერგებად არის მიჩნეული, თანადაფინანსება არ სჭირდება იმიტომ, რომ საქართველოს სხვა რეგიონებში, სადაც ჩვენი პროგრამა მოქმედებს, ნერგი ღირს 6-7-10 ლარი, იმიტომ ვაძლევთ დაფინანსებას, ხოლო ციტრუსის ნერგი სამი ლარი ღირს. ასე რომ, ყველა ფერმერს ყოველგვარი პროგრამის გარეშე შეუძლია, არსებული მასშტაბების საფუძველზე, მივიდეს და ადგილზე შეიძინოს რაც სჭირდება.

**- გამოდის, ახლა ციტრუსის ნერგებს ვერ შევიძენთ.**

- როგორც ვიცი, წინა შემოდგომაზე ციტრუსის ნერგები სულ დაიყიდა. ახალი შემოდგომაზე იქნება, ვისაც სურს, აგროსერვისცენტრს მიმართავს, ჩაეწერება რიგში და მიიღებს იმ რაოდენობის და სახეობის ნერგს, რამდენიც სჭირდება.

**- უკრაინა-რუსეთის ომის კვალდაკვალ, ჩნდება პროდუქციის დეფიციტის გაჩენის შიში. რამდენადაა მზად აგროსექტორი შიდა ბაზრის პროდუქტით მოსამარაგებლად?**

- პროდუქციის მარაგების საშიშროება ჩვენთან ამ ეტაპზე არ დგას გამომდინარე იქიდან, რომ შარშან, შარშანწინ, პანდემიის გამო, გაკეთდა სათანადო მარაგი. ამისთვის კომპანიებმა თავის დროზე დაიჭირეს თადარიგი. ძირითადი სასურსათო პროდუქცია: პური, ხორბალი, ბრინჯი, წიწიბურა, მაკარონის ნაწარმი, მზესუმზირის ზეთი და ა.შ. განთავსდა სარეალიზაციო ობიექტებში. ასე რომ, მოცემულ მომენტში, ამის საშიშროება არ გვაქვს. უფლის წყალობით, ომი მალე დასრულდება და აღარ იქნება მსგავსი პრობლემები არსად.

**- პანდემიის პერიოდში წამოიწყეს უფასო ხვნა-თესვის პროგრამა, რომელმაც საკმაოდ დიდი შედეგი გამოიღო. წელს თუ აპირებთ ანალოგიურის განხორციელებას?**

- პროგრამის განხორციელება წელსაც არის დაგეგმილი. 1500-დან 2000 ჰექტრამდე მძიმე ტექნიკით დასამუშავებელ მიწის ფართობებს სრულიად უსასყიდლოდ დავუმუშავებთ ფერმერულ მეურნეობებს. უკვე მობილიზებულია სათანადო ტექნიკა და სხვა, ამ პროცესისთვის საჭირო ატრიბუტები. როგორც კი დაიწყება ხვნის სეზონი, აჭარის დაბლობშიც და მთაშიც ეს ოპერაციები განხორციელდება.

**- როგორი მდგომარეობაა მეფრინველეობა-მეცხოველეობის კუთხით?**

- ამ ბოლო დროს, მეფრინველეობა-მეცხოველეობის მიმართულება კარგადაა განვითარებული. განსაკუთრებით გააქტიურდნენ ხორცსა და კვერცხზე ფასის მატების გამო. მოგეხსენებათ, ფასთა წარმოქმნას ბაზარი არეგულირებს და სადაც არის მოთხოვნა, იქ წარმოიქმნება მიწოდების ობიექტებიც. განსაკუთრებით გამოირჩევა მეცხოველეობის ფერმები მაღალმთიან აჭარაში, სადაც იალაღებია და პირუტყვის გამოკვება ნაკლებ დანახარჯს ითხოვს. აქვე აღვნიშნავ, რომ სამინისტრო ახორციელებს თანადაფინანსების პროგრამას სპეციალიზებულ სასაკლაოებზე დაკვლის პროცედურების გამარტივებისთვის. შედეგად, უკვე გამოჩნდა სერიოზული კერძო ფერმები, სადაც თითოეულ ფერმერს ჰყავს მინიმუმ - 15, უმეტესობას კი 30-40 სული პირუტყვი, როგორც მეწველი, ისე მეხორცული მიმართულების. თამამად შეიძლება ითქვას, რძის პროდუქტების და ხორცის რეალიზაციის პრობლემა არ არსებობს, რაც ხელს უწყობს აჭარაში მესაქონლეობის სწრაფი ტემპებით განვითარებას.

# თენგიზ აფხაზავა: აუცილებლად მოვიგებთ ამ არჩევნებს და დავაკომპლექტებთ ბათუმის საკრებულოს

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

***ბათუმის საკრებულო კვლავ უმოქმედოდაა, რასაც პოზიცია-ოპოზიცია ერთმანეთს აბრალებს. ერთი მხარე თვლის, რომ სახელისუფლებო გუნდი ბოიკოტის რეჟიმშია, რასაც უცნაურად და გაუგებრად მიიჩნევს, „ქართული ოცნება“ კი აცხადებს, რომ თავად ოპოზიციის გამო ვერ ჩატარდა სხდომა კანონიერ ფორმატში, რადგან ვერ შეჯერდნენ თავმჯდომარის არჩევასა და სხვა საკითხებზე***

*უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ საკრებულოში ძალთა თანაფარდობა 17/17-ზეა. ოპოზიცია თავს დაზარალებულად თვლის და დამნაშავედ ხელისუფლებას ასახელებს. კერძოდ, აცხადებს, რომ დაშინება-მოსყიდვით და ზეწოლით შეძლეს ერთი წევრის (გახარიას გუნდიდან) დამოუკიდებლის სტატუსით გადაბირება, ხოლო მეორე - ნუგზარ ფუტკარაძე ვერ მოისყიდეს, თუმცა ნერვიულობის შედეგად გარდაიცვალა. ამ ეტაპზე ორივე მხარე ემზადება გონიო-კვარიათის საარჩევნო ოლქში შუალედური არჩევნებისთვის, რომელიც 2 აპრილს გაიმართება. ოპოზიცია შეთანხმდა ერთიან კანდიდატზე და წარადგინა გარდაცვლილი წევრის შვილი - მათე ფუტკარაძე, ადამიანი, რომელსაც არ ჰქონია პოლიტიკური გამოცდილება, მაგრამ მამის ხსოვნის გამო აპირებს კარდაკარ შემოიაროს ოლქი და მიიღოს დამაჯერებელი გამარჯვება პირველივე ტურში.*

*„ქართულმა ოცნებამ“ კანდიდატად გამოცდილი, ბათუმსა და აჭარაში კარგად ცნობილი აჭარის ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე რამაზ ჯინჭარაძე დაასახელა. ერთი შეხედვით, უთანასწორო ბრძოლა გაიმართება. ოპოზიცია თვლის, რომ ერთხელ უკვე მოიგეს ეს ოლქი, ახლაც არ გაუჭირდებათ და ბათუმის საკრებულო ოპოზიციური გახდება, ისევე, როგორც იყო თავიდანვე, როდესაც ხმების რაოდენობა 19/17-ზე გახლდათ ოპოზიციური პარტიების სასარგებლოდ. წინასაარჩევნო კამპანია ძალაში შევიდა.*

*რას ფიქრობს ამ თემაზე ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე* **თენგიზ აფხაზავა**. *როგორ აფასებს რუსეთ-უკრაინის ომს, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებებს და ეკონომიკურ რისკებს საქართველოსთვის, ამას ინტერვიუდან გაიგებთ.*



> ***მხოლოდ სიკეთეს ვუსურვებ ამ ახალგაზრდა ადამიანს, მაგრამ მოდით, ისიც ვთქვათ, ვინ სჭირდება ამ ეტაპზე ბათუმის საკრებულოს? სჭირდება გამოცდილი, განათლებული, პროფესიონალი ადამიანები, რომლებიც ქალაქის სასიკეთოდ კონკრეტულ საკითხს შეისწავლიან, გააანალიზებენ, გადაწყვეტილებას მიიღებენ და ამისთვის შესაფერისი კომპეტენცია და უნარი გააჩნიათ***

**- ბატონო თენგიზ, ისევ არ ფუნქციონირებს ბათუმის საკრებულო. რას იტყვით ამის შესახებ?**

- მე არაერთხელ განვაცხადე მედიის საშუალებით, რომ ამ საკითხის გადაწყვეტის რამდენიმე გზა არსებობს. ერთ-ერთია გონიო-კვარიათის სამაჟორიტარო ოლქში შუალედური არჩევნების ჩატარება, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს ბათუმის საკრებულოში უმრავლესობის საკითხი, რაც საკრებულოს შესაბამისი დაკომპლექტების საშუალებას მოგვცემს.

**- სხვა გზა რა იყო?**

- სხვა გზებმა არ გაამართლა, დესტრუქციული ოპოზიციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და მისი სატელიტი პარტიების ქმედებების გამო, ვერაფრით მივაღწიეთ შეთანხმებას. როგორც ხედავთ, ისევ არჩევნებს ველოდებით, რადგან მე-4 სამაჟორიტარო ოლქის მოსახლეობის არჩევანი მოგვცემს რეალურ შედეგს. ისევე როგორც ოპოზიციამ, ჩვენც გადავწყვიტეთ, სხდომებს თავი დავანებოთ და არჩევნებისთვის მზადება გავააქტიუროთ. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გარდა, სხვებს ჯერ არ ჰყავთ წარმოდგენილი კანდიდატები, იმის მიუხედავად, რომ არჩევნებამდე ერთი თვით ადრე უნდა წარმოედგინათ. ჯერ არაფერი ისმის, ვნახოთ, რამდენიმე დღეში ცნობილი გახდება „ქართული ოცნების“ და „ნაციონალური მოძრაობის“ გარდა, კიდევ რომელი პარტია გადაწყვეტს საკუთარი კანდიდატის დარეგისტრირებას.

**- აღარავისთვისაა საიდუმლო, რომ არც ერთი ოპოზიციური პარტია აღარ წამოაყენებს საკუთარ კანდიდატს, რადგან ეს არჩევნები „ღირსების საქმედ“ მიიჩნიეს და მხოლოდ გარდაცვლილი ნუგზარ ფუტკარაძის შვილს, მათე ფუტკარაძეს დაუჭერენ მხარს.**

- გარდაცვლილი ადამიანით მანიპულირება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ უცვლელი ხელწერაა. ამაში უბედურება. სამწუხაროდ, ისინი იყენებენ ნებისმიერ შემთხვევას, ოღონდაც გაიტანონ საკუთარი ინტერესები და ნეგატიური მოვლენები ახსნან ჩვენი მონაწილეობით. ყველამ იცის, რასაც წარმოადგენენ - მკვლელების და გამაუპატიურებლების პარტიის წევრები არიან და რასაც თავად სჩადიოდნენ უახლოეს წარსულში, ახლა აქეთ გვაბრალებენ. პირდაპირ გეტყვით, საშინელება ტრიალებს ჩვენ ირგვლივ, პოპულიზმზე, ადამიანთა მწუხარებაზე, ტრაგედიაზე მოთამაშე პოლიტიკური ძალა გვყავს ჩასაფრებული, რომლისგანაც ყველაფერს უნდა ველოდოთ.

**- თქვენ რას აკეთებთ ამ ძალის შესაჩერებლად?**

- ჩვენ ვაკეთებთ საქმეს, აღარ ვაქცევთ ყურადღებას მათ უძვლო გამოსვლებს. ფაქტებით რომ ვერ ლაპარაკობენ, ემოციებზე აგებენ წინასაარჩევნო კამპანიას. როგორ არ უკვირდებიან, რომ არ შეიძლება ადამიანის ყველაზე სათუთი გრძნობებით თამაში. ამიტომაც შეარჩიეს ახალგაზრდა, პოლიტიკაში გამოუცდელი ადამიანი, რომელიც გამოიყენეს საკუთარი ბინძური ზრახვების ასასრულებლად.

**- თქვენ ფიქრობთ, რომ მათე ფუტკარაძე ვერ აკმაყოფილებს ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოთხოვნებს?**

- მე ეს არ მითქვამს, პირიქით, მხოლოდ სიკეთეს ვუსურვებ ამ ახალგაზრდა ადამიანს, მაგრამ მოდით, ისიც ვთქვათ, ვინ სჭირდება ამ ეტაპზე ბათუმის საკრებულოს? სჭირდება გამოცდილი, განათლებული, პროფესიონალი ადამიანები, რომლებიც ქალაქის სასიკეთოდ კონკრეტულ საკითხს შეისწავლიან, გააანალიზებენ, გადაწყვეტილებას მიიღებენ და ამისთვის შესაფერისი კომპეტენცია და უნარი გააჩნიათ.

**- თქვენ თვლით, რომ რამაზ ჯინჭარაძე სწორედ ასეთი პროფესიონალია?**

- მე კი არა, ამას მთელი აჭარა თვლის, რადგან ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე სოციალურ საკითხებში, ათწლეულის განმავლობაში არეგულირებდა ყველაზე რთულ, შრომატევად და ერთი შეხედვით შეუსრულებელ ამოცანებს. მისი უშუალო მონაწილეობით უამრავი სოციალური პროექტია განხორციელებული, მათ შორის, აშენდა სოციალური სახლები, კორპუსები მეწყრით დაზარალებულთათვის, ეკომიგრანტებისთვის, აფხაზეთიდან დევნილებისთვის. ამ პროექტებით გაიცა თანხები უსახლკაროდ დარჩენილთათვის სახლების საყიდლად. ბოლოს აღვნიშნავ, რომ რამაზ ჯინჭარაძემ სამთავრობო გუნდთან ერთად, გადაწყვიტა ბათუმის ყველაზე მტკივნეული პრობლემა, ვგულისხმობ, „ოცნების ქალაქს“ - ამჟამად ამ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა მიმდინარეობს და არ შეწყდება მანამ, სანამ ამ „ქალაქის“ ბოლო მკვიდრი ბინით არ დაკმაყოფილდება. აქედან გამომდინარე, კარგად იციან თავად ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებმაც, რომ ჩვენი კანდიდატი, რომელმაც ავარიული სახლების რეაბილიტაცია-მშენებლობისათვის მილიონები გამოჰყო, სჭირდება ქალაქს. ბათუმი უსაფრთხო ქალაქად უნდა იქცეს, ამისთვის კი პროფესიონალი კადრებია საჭირო, რომლებიც დესტრუქციული ქმედებების ნაცვლად, ქალაქის მშენებლობას დაიწყებენ და მთელ ყურადღებას და ბიუჯეტიდან გამოყოფილ სახსრებს მიზანმიმართულად გახარჯავენ. ახლა პოლიტიკური კინკლაობის დროა აღარაა, საქმე უნდა ვაკეთოთ და საკრებულომ სწორი ფუნქციონირება განაგრძოს ჩვენი, უმრავლესობის ხელმძღვანელობით. ყველაფერი ეს იმიტომ ვთქვი, რომ ხაზი გამესვა, რამდენად ღირსეული კანდიდატი წარვადგინეთ ამ სამაჟორიტარო ოლქში. თქვენ ვერ ნახავთ მასზე აუგის მთქმელს ოპოზიციურ სპექტრშიც კი. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებიც ამბობენ, რომ რამაზ ჯინჭარაძე არაჩვეულებრივი ადამიანია, რომლისთვისაც მთავარი ყოველთვის იყო ადამიანებზე ზრუნვა, რასაც აკეთებდა წლების განმავლობაში და დიდი ავტორიტეტიც მოიპოვა. ამის გათვალისწინებით, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად მოვიგებთ ამ არჩევნებს, დავაკომპლექტებთ ქალაქ ბათუმის საკრებულოს, რომელიც ჩვეულ რეჟიმში დაიწყებს ფუნქციონირებას მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

**- ოპოზიცია აცხადებს, რომ ბოიკოტს უცხადებთ სხდომებს, რაც დიდ უცნაურობად მიაჩნიათ. ისიც აღნიშნეს, რომ თანახმა იყვნენ ქალაქისთვის სასიცოცხლო საკითხები განეხილათ საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის გარეშეც.**

- ამ საკითხებზეც არაერთხელ გავაკეთეთ კომენტარი. ვისაუბრეთ მათი სადეპუტატო მანდატების მფლობელი პარტიების წარმომადგენლებთან, რომლებიც იყვნენ ფრაქციაში მოსული. მოკლედ აგიხსნით, რა ხდება. არც ერთი მხარე გადაწყვეტილებას პრინციპულად არ ღებულობს და მოლაპარაკებაზე არ მოდის. გამოდის, თუ საკრებულოს სხდომას მოვიწვევთ, იქ ვერ ვიმსჯელებთ ვერც ერთ საკითხზე მანამ, სანამ არ იქნება არჩეული საკრებულოს თავმჯდომარე. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია კომისიებში კვოტირების საკითხი, ანუ პარტიების წარმომადგენლობა რაოდენობრივად როგორ იქნება განსაზღვრული. ამასაც კანონი არეგულირებს, მაგრამ მსჯელობის საგანია. იგივე, კომისიების თავმჯდომარეების საკითხიც განსახილველია, რისთვისაც აუცილებელია წინსწრებით იყოს შეთანხმებული საკითხები, მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვს აზრი სხდომის მოწვევასაც და ჩატარებასაც.

**- ისინი ამბობენ, რომ ამ ყველაფრისთვის მზად არიან.**

- შევთავაზეთ პირველ სხდომაზე თავმჯდომარეს ჩვენი კანდიდატი, ანუ მზად ვიყავით, მაგრამ „ისინი“ ვერ შეთანხმდნენ შიგნით, ვერც ფრაქციის, ვერც საკრებულოს თავმჯდომარეების კანდიდატურებზე.

**- ერთიან კანდიდატზე ხომ იყვნენ შეთანხმებული?**

- მაქვს ინფორმაცია, რომ მსგავსი არაფერი ყოფილა და რეალურად ვერ შეთანხმებულან შუღლის, შიდა დაპირისპირების გამო. დაინახავთ, ყველაფერი მალე გამომზეურდება, მეტი ლუსტრირება იქნება და კიდევ უფრო გახმაურდება ფართო საზოგადოებაში. იმედი მაქვს, ოპოზიციაში არის რამდენიმე გონიერი ადამიანი, ვისაც უყვარს ეს ქალაქი და როდესაც საკრებულოს ფორმირებას დავიწყებთ, ბათუმისთვის სასიკეთო გადაწყვეტილებას მიიღებს.

**- როგორც ეკონომისტი, როგორ შეაფასებთ ევროპის სანქციების ქმედითუნარიანობას, ანუ შეაშინებს თუ არა აკრძალვები რუსეთს?**

- რიგი სანქციები, ევროპამ რომ დააწესა, რასაკვირველია, ზიანს მიაყენებს რუსეთს, მაგრამ ცალმხრივად არ შეიძლება ამ საკითხის განხილვა. საქმე ისაა, რომ ეკონომიკურ ნაწილში არის უამრავი მსხვილი ინვესტორი, უცხოური კომპანია... პუტინმა მზადყოფნაში მოიყვანა თავდაცვის ბირთვული სისტემის პოტენციალი და რა დაუშლის, ერთ დღეს გამოაცხადოს ნაციონალიზაცია? ქართველებს კარგი გამოთქმა გვაქვს, „ჭკუა დაუშლის თუ თანამდებობა?“ აქედან გამომდინარე, ერთი მხარის ზარალი არ იქნება. რა თქმა უნდა, რუსეთი მეტად დაზარალდება, მაგრამ არც სხვებს დაადგებათ კარგი დღე. თანაც, რაც უფრო გახანგრძლივდება ომი, მით უფრო დაზარალდება საქართველო. რუსეთიც და უკრაინაც ჩვენი სერიოზული პარტნიორები არიან. ბევრი დასახელების პროდუქცია შემოდის. იმპორტი ხორციელდება როგორც ერთი, ისე მეორე ქვეყნიდან. გარდა ამისა, სვიფტის სისტემიდან გათიშვა წარმოქმნის პრობლემებს იმ ქართული ოჯახებისთვის, რომლებსაც აქ, ადგილზე, რუსეთში წასული ადამიანები ინახავენ. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ 800 ათასი ქართველი ცხოვრობს რუსეთში. არის ის საკითხები, რომელსაც კარგად გააზრება, დაფიქრება სჭირდება. მაგრამ თუ ეს დასავლური სამყაროს ერთიანი გადაწყვეტილება იქნება და სტრატეგიული პარტნიორების მხრიდან აუცილებელ პირობად ჩამოყალიბდება, ცხადია, საქართველო ამ ხაზს უყოყმანოდ შეუერთდება, ისევე, როგორც ევროსაბჭოს იმ რეზოლუციებს, რუსეთის წინააღმდეგ რომ მიიღო.

**- პრემიერის გადაწყვეტილებას ოპოზიცია მკაცრად აკრიტიკებს.**

- საქართველო რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს არ შემოიღებს, რადგან ამით ქვეყნის მოსახლეობა დაზარალდება, ჩვენ დღეს გვყავს მთავრობა და პრემიერი, რომელიც მხოლოდ ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამოდის და ჩვენც მისი გუნდი, მხარს ვუჭერთ ყველა მის გადაწყვეტილებას.

**- მოსახლეობა პანიკაშია - სურსათის გაძვირებას და პროდუქტების დეფიციტს წინასწარმეტყველებენ.**

- ამ მხრივ, რაიმე პროგნოზის გაკეთება ძალიან რთულია. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენი ხანი გაგრძელდება საომარი მოქმედებები, როგორ განვითარდება მოლაპარაკებები და რას გადაწყვეტს მთავრობა. დარწმუნებული ვარ, რომ არანაირი პრობლემა ამ კუთხით არ წარმოიქმნება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს მთავრობამ უკრაინაში ჰუმანიტარული ტვირთი გაგზავნა, რომელიც პირველადი სამედიცინო დახმარების საგნებს, 30-ზე მეტი დასახელების მედიკამენტს, ჟანგბადის კონცენტრატორებს და ჰუმანიტარული დახმარების სხვა საგნებს მოიცავს. ვეხმარებით აქ ჩარჩენილ ტურისტებს, უფასოდ განვათავსეთ სასტუმროებში, უზრუნველვყავით საკვებით და აუცილებელი ნივთებით. ამით იმის თქმა მინდა, რომ ხელისუფლება მხარში უდგას უკრაინას და ყოველთვის დაიცავს დემოკრატიის და დასავლური კურსის ინტერესებს.

# „ეს დღე დედამიწაზე ყველას შეუძლია იზეიმოს“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***ჩვენი სტუმარია ხულოს მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ნარგიზ დეკანაძე***

- უმძიმესი ზამთარი გადავიტანეთ, მკაცრი, უხვთოვლიანი. ამიტომ განსაკუთრებულად გვიხარია გაზაფხულის შემობრძანება. ყველა ქალსა და დედას მივულოცავ 3 და 8 მარტის დღესასწაულებს - მშვიდობას, ჯანმრთელობას, შვილთა სიმრავლეს და ბედნიერებას ვუსურვებ.

**- ხულო ერთადერთი მუნიციპალიტეტია, სადაც შობადობა სიკვდილიანობაზე მაღალია...**

- ასე იყო ყოველთვის და გრძელდება დღემდე. მადლობა იმ გმირ დედებს, 10 და 12 შვილი რომ გაზარდეს, ისინი დედა-ლეგენდები არიან, მაგალითები ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ხედავენ, როგორ ვცემთ დედებს პატივს, როგორ ვიხრით ქედს და მუხლს მათ წინაშე. აქ, მთაში, ქართველი დედის ფენომენი ისევ გამორჩეულია, მისი მადლი გადმოდის ახალგაზრდობაზე, ეს არის რეალობა.



**- ყოფილ ჟურნალისტს, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, კარგად გახსოვთ „დედის დღის“ წამოწყება, რომელსაც საქართველოს მასშტაბით სათავე ეთერ დეკანაძემ დაუდო. თავის დროზე მან გამოძახილი ვერ ჰპოვა, თუმცა გამოხდა ხანი და დამოუკიდებელი საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ეს დღე დააწესა. რას იტყვით ამ ინიციატივაზე?**

- ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ერთი ამბავი გამახსენდა: ქართველი მეზღვაური შორეულ ნაოსნობაშია და გემის კაპიტანი ეუბნება: ჩემი ქვეყანა 3 მარტს კოლონიალური უღლიდან განთავისუფლების დღეს აღნიშნავს. ახლა ზღვაში ვართ, სიტუაციიდან გამომდინარე, გამოსავალს ვერ ვხედავ და ვერ ვზეიმობო.. ქართველმა ბიჭმა უპასუხა: ჩემს ქვეყანაში 3 მარტს ყველაზე მაგარი დღე გვაქვს, დედის დღეს აღვნიშნავთ, ჰოდა, წელს თქვენც ეს იზეიმეთო. მართლაც, ეს დღე დედამიწაზე ყველას შეუძლია იზეიმოს, მაგრამ ჩვენ, ქართველები ვზეიმობთ. რაც შეეხება წამოწყებას, არც ეთერ დეკანაძეს გაღვიძებია ერთ დღეს და უთქვამს, მოდი, ეს დღე დავაწესოთო. თავისი საქმიანობის დროს ნახა ჩვენს მუნიციპალიტეტში მრავალშვილიანი დედების შრომა, სიკეთე, მადლი, ბედნიერება, დაკოჟრილი ხელები, გატეხილი ღამეები, გაჭაღარავებული თმა და ამ სილამაზის და სიყვარულის წილ გადაწყვიტა აღენიშნათ „დედის დღე“. მაშინ სტუდენტი ვიყავი, ღონისძიებას ვერ დავესწარი, მაგრამ როგორც ვიცი, მთელი საქართველო იყო ხულოში და საუბრობდა ამ ულამაზეს ზეიმზე. წლების შემდეგ, დემოკრატიული საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ეს დღე სრულიად საქართველოში სახელმწიფო დღესასწაულად გამოაცხადა. მინდა განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა ქალბატონ ეთერ დეკანაძეს ამ სიკეთისთვის.

**- რამდენად დაცულია გენდერული თანასწორობა ხულოს მუნიციპალიტეტში?**

- როცა ჩვენს ქვეყანაში ასე ვაღმერთებთ დედას, ქალს, ცოტა მეუხერხულება კვოტირებაზე საუბარი, მაგრამ სანამ ეს მექანიზმი არ ამუშავდა, ჩემი მუნიციპალიტეტის მაგალითით გეტყვით - საკრებულოში ერთი ქალი ვიყავი. ახლა ოთხი ქალია საკრებულოს წევრი. არც გადაწყვეტილების მიმღები ქალების სიმრავლით გამოვირჩევით მერიასა და სხვა სამსახურებში. ვფიქრობ, გადაწყვეტილების მიღება ქალებსაც შეუძლიათ და ზოგჯერ მამაკაცებზე უკეთესადაც. რაც შეეხება მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს, ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტი ქალი იყოს აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართული, დამოუკიდებელი და ეკონომიკურად ძლიერი.

**- რა წამახალისებელი აქტივობები ტარდება მრავალშვილიანი დედების, შვილთმრავალი ოჯახების საკეთილდღეოდ?**

- მრავალშვილიანი ოჯახების უფლებები ნამდვილად დაცულია, მოქმედებს მერიის პროგრამები, დედებს ეძლევათ საჩუქრები, დახმარებები.

**- მესამედ აგირჩიეს წარმომადგენლობით ორგანოში. ეს ნდობაა თუ გამართლება?**

- ორივე - ნდობაც, გამართლებაც და ჩემი მხრიდან, უდიდესი პასუხისმგებლობა და შრომა. მადლობა ჩემს პარტიას „ქართული ოცნება – დემოკრატიულ საქართველოს“ ამ ნდობისათვის. ვიდრე ჩათვლიან, რომ შემიძლია საქმის კეთება, ამომრჩევლის ნდობის გამართლება, ხალხის სამსახურში ვიქნები. საზოგადოების, მოსახლეობის, კოლეგების მხარდაჭერა მჭირდება, რომ მათ ერთგულად ვემსახურო.

**- კოლეგებთან დამოკიდებულებაში უპირატესობას რას ანიჭებთ?**

- ურთიერთპატივისცემას, სხვისი აზრის მოსმენას.

**- ბავშვობის დროინდელი ოცნება, რომელიც არ აგსრულებიათ?**

- ოცნება ძალიან მიყვარს, მაგრამ ვოცნებობ იმაზე, რისი ასრულებაც შესაძლებელია და ვიბრძვი ამისთვის.

**- დედის როლი თქვენს ცხოვრებაში?**

- ერთ სიტყვაში ჩავატევ - დიდი.

**- ჟურნალისტური საქმიანობიდან რა დაგრჩათ სასიამოვნო მოგონებად?**

- წიგნებად აკინძული გაზეთის ფურცლები, რომელიც ჩემი რაიონის ისტორიაა.

**- პროექტი, რომელიც თქვენ მიერ იყო ინიცირებული და ქალებს სასიკეთოდ წაადგათ?**

- ბოლო ინიციატივას გეტყვით - მარტოხელა დედებისათვის სოციალური სახლის აშენება. მადლობას გადავუხდი ხულოს მუნიციპალიტეტის მერს ვახტანგ ბერიძეს და საკრებულოს თავმჯდომარეს რენარ ბოლქვაძეს, რომ ეძებენ გზებს ამ ინიციატივის მსვლელობისათვის.

**- რატომ არ შემოვიდა თქვენს ცხოვრებაში მამაკაცი, რომელმაც ხელი გთხოვათ?**

- მჯერა ბედისწერის.

**- წყვილი, რომლის ოჯახის შექმნაში დიდი წილი გაიღეთ?**

- დიდ წილზე ვერ ვიტყვი, სიტყვა შემიწევია.

**- უფალთან მისვლის დროს როგორ არჩევთ?**

- უფლის ნებით.

**- კულინარიასთან მწყრალად ხართ, თუ...**

- არა, მიყვარს სამზარეულო.

**- მადლი, რომელიც სანანებელი გაგიხდათ?**

- მადლი ჩემთვის მადლია, არასდროს მინანია.

**- როგორ გადაუხადეთ ამაგი ადამიანს, რომელმაც დახმარების ხელი გამოგიწოდათ?**

- ყოველთვის მახსოვს და უფალს ვთხოვ, გადაუხადოს.

**- ქალი საჭესთან...**

- ქალებს ესეც ისე ხელეწიფებათ, როგორც დანარჩენი საქმე. დღეს ავტომანქანა ფუფუნების საგანი რომ აღარ არის, ყველამ ვიცით. ასე რომ, ქალისთვის აუცილებელია საჭესთან ჯდომა.

**- პროფესია, რომელიც დედისთვის შეუთავსებელია?**

- ასეთი პროფესია არ არსებობს.

**- მწერალი, რომელმაც წიგნი ავტოგრაფით გისახსოვრათ?**

- მუხრან მაჭავარიანი, ნოდარ ძირკვაძე, ვახტანგ აბულაძე.

**- თქვენს შემოქმედებას წიგნად როდის ვიხილავთ?**

- ეგ დრო ნამდვილად მოვა.

**- დამოკიდებულება თანამედროვე ჟურნალისტიკისადმი?**

- ჟურნალისტიკა ჩემი ოცნების ასრულება იყო, პოლიტიკა მდგომარეობამ მომიტანა. უფალს მადლობა ამ შესაძლებლობებისთვის. სამართლიანობა და ობიექტურობა ორივე გზის თანმდევია.

*„როცა ჩვენს ქვეყანაში ასე ვაღმერთებთ დედას, ქალს, ცოტა მეუხერხულება კვოტირებაზე საუბარი, მაგრამ სანამ ეს მექანიზმი არ ამუშავდა, ჩემი მუნიციპალიტეტის მაგალითით გეტყვით - საკრებულოში ერთი ქალი ვიყავი. ახლა ოთხი ქალია საკრებულოს წევრი. არც გადაწყვეტილების მიმღები ქალების სიმრავლით გამოვირჩევით მერიასა და სხვა სამსახურებში*

# დედის გარეშე – პირველად...

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***1962 წელს ფურტიოელები პაპოშვილებელ ეთერ ფუტკარაძესა და თანასოფლელ შაქრო ბერიძეს ახალი ოჯახის შექმნას რომ ულოცავდნენ, შვილთმრავლობა, ერისა და ქვეყნის სამსახურში ყოფნა უსურვეს. წლისთავზე ოჯახში პირველი შვილი, იაშა, გაჩნდა. კიდევ 8 სიცოცხლის დაბადებით გაიხარეს მშობლებმა და მათმა გულშემატკივრებმა. მშობლები, კეთილმოსურნენი გონებაშიც ვერ გაივლებდნენ, რომ ბედისწერა მათ შვილების დაკარგვას მიუსჯიდა***

პირველად 3 და 5 წლის შვილები დაკარგეს. გამოხდა ხანი და ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალზე მომხდარ ავტოავარიას ნაბოლარა შვილი, ნოდარი, შეეწირა, ორი წლის წინათ კი კიდევ ერთ ვაჟი, იაშა, რომელიც თურქეთში იყო სამუშაოდ წასული, იქიდან გარდაცვლილი ჩამოასვენეს.

ტირილი ცხოვრების თანმდევად ექცათ 7 ათეულ წელს გადაცილებულ ეთერისა და შაქროს. ყველაზე მეტად ობლად დარჩენილი შვილიშვილების ბედი აწუხებდათ. უბედურებას არ უშინდებოდნენ, მაინც სიხარულის მოლოდინში იყვნენ. ნოდარი ავტოავარიამ რომ შეიწირა, მისი პირველი ვაჟი, კახა, ორი წლის იყო, ანრი კი წუთისოფელს მამის გარდაცვალების შემდეგ მოევლინა. ობლად დარჩენილ ბიჭებს დედა იამზე თურაძე ზრდიდა. შარშან, ნოემბერში პანდემიამ იამზეც შეიწირა. კიდევ უფრო დამძიმდა ობლების ხვედრი. ბებია-ბაბუის მსგავსად მათ თანადგომას არ აკლებენ ბიძები ამირან ბერიძე და ედნარ თურაძე, ყველაფერს ვერ გასწვდნენ, პატარებს საკუთარი ჭერი ვერ გაუჩინეს...



კახა ქალაქ ბათუმის 26-ე საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეა, ანრი კი მე-6 კლასის. ობოლი ძმების ნატვრა და სურვილები საკუთარი ჭერის შეძენას ვერ სცილდება, მყუდრო ცხოვრებას ნატრობენ. მეოცნებე ბიჭია ანრი, სასწაულების სჯერა, განსაკუთრებით - თოვლის ბაბუასი. არც იყო გასაკვირი, რომ მიმდინარე წლის დასაწყისში თოვლის ბაბუას ასეთი შინაარსის წერილი მისწერა: - „გამარჯობა, ძვირფასო თოვლის ბაბუ, როგორ ბრძანდებით. მე ვარ ანრი ბერიძე. 11 წლის. მარტში ვხდები 12-ის. 10 წლის წინ დავკარგე მამა, 1 თვის წინ - დედა. ძალიან ძნელია უდედობა და უმამობა. დედაჩემი, როდესაც ცოცხალი იყო, ძალიან ბედნიერი ვიყავი, რადგან დედა უმამობას არ მაგრძნობინებდა. ძვირფასო თოვლის ბაბუ. მე მინდა: ბუცები, უკაბელო ყურსასმენი, აიპოდი და „კოჟის ბურთი“. წინასწარ დიდი მადლობა ყველას“.

ძმების, მათი მეურვეების შეჭირვებული მდგომარეობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძის ყურს მისწვდა. ის შეხვდა ობოლ ბიჭებს და მათი ცხოვრების შესახებ დაწვრილებით გამოჰკითხა. ანრის წერილში ნახსენები სურვილებიც აუსრულა და კიდევ უფრო დიდი საჩუქარი მოაყოლა. სულ მალე კახასა და ანრის „ოცნების ქალაქში“ მშენებარე მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლში საკუთარი ჭერი ექნებათ. მათ რეგიონის პირველმა პირმა ბინა პირადად დაათვალიერებინა.

ქვეყანა მაშინაა ძლიერი, როცა ობლებს გამკითხავ-მპატრონებელ ხელმძღანელობასთან ერთად, ქველმოქმედი, სხვისი ჭირ-ვარამის გამზიარებელი ადამიანები ჰყავთ. ახალ ბინაში ძმებს ბიზნესმენი ძმები კვაჭაძეები დგამ-ავეჯს, ყოველდღიური მოხმარების ნივთებს დაახვედრებენ.

- 9 შვილიდან წუთისოფელს ოთხიღა შემორჩა, - გვითხრა ანრის და კახას ბებია ეთერ ფუტკარაძე-ბერიძემ. თურმე ადამიანი ქვასა და კლდეზე ძლიერი ყოფილა. ქვა იფშვნება, კლდეს ბზარები უჩნდება, ადამიანს მათზე მეტის ატანა შესძლებია. ხუთი შვილის დატირება სიტყვით იოლია, განცდით კი აუწონავ-განუზომელი. 3 და 5 წლისანი რომ დავიტირეთ, თავს ვინუგეშებდით, ცოლშვილიანი, ქმარშვილიანი შვილების დატირებამ, შვილიშვილებზე ზრუნვამ ყველა ზღვარს გადაამეტა. შვილი ამირანი, რძლის ძმა ედნარ თურაძე, სოფლის ხელმძღვანელი ასლან მახარაძე თანადგომას, დახმარებას, მზრუნველობას არ გვაკლებენ დამწუხრებულ მშობლებსა და ობლად დარჩენილებს. ადამიანები ახდენილ სიზმარსაც არ ივიწყებენ, ამ სიკეთეს როგორ დავივიწყებთ! თავი ახლაც სიზმარში მგონია. არც მიოცნებია, რომ უდედმამოდ დარჩენილ კახასა და ანრის „ოცნების ქალაქში“ ნატვრად ქცეული საკუთარი ჭერი ექნებოდათ. მადლის მოხვეჭა იოლი საქმე არაა. ფურტიო და ვაშლოვანი მეზობელი სოფლებია. იქ გაზრდილ-დავაჟკაცებული აჭარის ახლანდელი ლიდერი ბატონი თორნიკე რიჟვაძე თუ ასეთი გულთმისანი, ობოლთა განმკითხავი, სხვისი ჭირ-ვარამის გამზიარებელი იქნებოდა, არ ვიცოდი და ეს აღმოჩენა მახარებს. ერთი საგაზეთო კომენტარი კი არა, სქელტანიანი წიგნიც ვერ დაიტევს ჩემს განცდებს, სიხარულს. თურმე შვილმკვდარი დედა, ობლების შემყურე ბებია, ყველასგან მოძულებული არ იქნება. ბოლო წინადადებას ანრის დავესესხები: მადლობა ყველას. გაზაფხულის მშვენიერი დღესასწაულების მოსვლა ყველა ქალს გვახარებს, მაგრამ ჩემთვის სულ სხვაა.

იხ. მე-7 გვ.

# სისხლი – უკრაინაში დაჭრილ-დაშავებულთა დასახმარებლად

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს ინფორმაციას, რომ უკრაინაში დაჭრილთა და დაშავებულთა დასახმარებლად სისხლის ჩაბარების მსურველთა რეგისტრაციას იწყებს. დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ დარეკონ ცხელ ხაზზე 1505 ან გაიარონ რეგისტრაცია ვებგვერდზე. მათივე ინფორმაციით, სისხლის ჩაბარების საჭიროების შემთხვევაში, რეგისტრირებულ პირს დაუკავშირდება ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი და მოიწვევს უახლოეს (რეგისტრირებული პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) სისხლის ამღებ პუნქტში ქვეყნის მასშტაბით.

მომზადებული სისხლის პროდუქტები ჰუმანიტარული დახმარების სახით გაიგზავნება უკრაინაში.

**მარი მიდასელი**

# „აწარმოე უკრაინისთვის“




„კომპანიების მიერ მოწოდებული პროდუქცია შეიფუთა და სატვირთო მანქანებში ჩატვირთულია. პირველი ტვირთი ამ დღეებში გაიგზავნება. ეს არის პირველადი საჭიროების პროდუქტები, მედიკამენტები, ბავშვთა კვება, ბავშვთა ტანსაცმელი და სხვა საჭირო პროდუქცია. დიდი მადლობა ქართულ კომპანიებს ასეთი აქტიური ჩართულობისა და მხარდაჭერისთვის“, - განაცხადა სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ დირექტორმა მიხეილ ხიდურელმა.

კამპანია „აწარმოე უკრაინისთვის“, რომელიც მთავრობის ინიციატივით სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ უკრაინელი ხალხის დასახმარებლად რამდენიმე დღის წინ დაიწყო, გრძელდება.

სურვილის შემთხვევაში კომპანიებმა უნდა შეავსონ ფორმა: https://bit.ly/3hnb8oL, დამატებითი კითხვების შემთხვევაში კი დარეკონ ნომერზე - 1525.

**ამირან გურიელიძე**

# საქართველოს ჩემპიონატი – კრივში

**მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97**

ბათუმში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი უფროს და ახალგაზრდა ასაკის მოკრივეთა შორის, რომელსაც მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლემ უმასპინძლა. შეჯიბრება საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებითა და აჭარის კრივის ფედერაციის მხარდაჭერით ჩატარდა.

როგორც კრივის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გივი კერესელიძემ გვითხრა, პანდემია რომ არა, ბათუმში გაცილებით მეტი სპორტსმენი ჩამოვიდოდა, თუმცა მაინც საკმაო რაოდენობით შეიკრიბნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, მათ შორის ჩხოროწყუს, ქუთაისის, ზუგდიდის, ფოთის, სენაკის, გორის, ვარიანის, ბორჯომის, თელავის, საგარეჯოს, ჭიათურის, ლაგოდეხის, თბილისის, ბათუმის... დაახლოებით 200 მოკრივე.

უფროსი და ახალგაზრდა ასაკის მოკრივეთა შორის ოთხი დღის განმავლობაში სხვადასხვა წონით კატეგორიაში არაერთი საპრიზო ადგილის მფლობელი გამოვლინდა. აჭარის ნაკრები გუნდების (სხვადასხვა კატეგორიაში) სამივე სინჯის მედლები ძირითადად, გოჩა აბაშიძის აღსაზრდელებმა მოიპოვეს. საქართველოს ჩემპიონები გახდნენ: ლუკა მაჭუტაძე, ლუკა ბერნინოღლუ, ლანა ბოლქვაძე, მარი ლასტაკანიძე.



# „ეთნიკური ნიშნით ადამიანების დისკრიმინაცია არის გაუგონარი მოვლენა ცივილიზებული სამყაროსთვის“

პირველი გვერდიდან

მოვუწოდებთ სამართალდამცავ ორგანოებს, მიიღონ ყველა ზომა ყოველგვარი ფიზიკური დაპირისპირებისა და ეთნიკური შუღლის გაღვივების მცდელობის პრევენციისა და აღკვეთისათვის. ამგვარი ქმედების ყველა ჩამდენი კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯოს.

აქვე მკაფიოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჭარბი რაოდენობით შემოსვლასთან დაკავშირებულ ყველა შესაძლო რისკს, რაზეც ყურადღებას ამახვილებს საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც გულწრფელად ღელავს ამ თემაზე, სრულად დააზღვევს საქართველოს ხელისუფლება. აქვე გვინდა შეგახსენოთ, რომ რუსეთში ცხოვრობს 800 ათასამდე ქართველი, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობს 10-ათასობით ქართველი, რომელთა დიდი ნაწილი საქართველოს მოქალაქეა. ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, რომ დისკრიმინაციული მიდგომა საქართველოში მყოფი რუსი ეროვნების მოქალაქეების მიმართ 100-ათასობით ქართველს უქმნის უშუალო საფრთხეს. თუმცა, კამპანიის ავტორები ამ ფაქტსაც არაფრად აგდებენ და მეტიც, გამორიცხული არაა, ამ პრობლემის შექმნა მათი განზრახვის შემადგენელი ნაწილიც იყოს.

საქართველოს პარლამენტმა უკვე დაიწყო მუშაობა კანონპროექტის გამკაცრებაზე, რომელიც ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციისა და ეთნიკური შუღლის გაღვივების წინააღმდეგ იქნება მიმართული.

აშკარაა, რომ დისკრიმინაციული კამპანია რუსი ეროვნების მოქალაქეების წინააღმდეგ ომის პარტიის, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ განიხილება როგორც ერთგვარი ბოლო შანსი, საქართველო ჩათრეულ იქნას სამხედრო კონფლიქტში, რასაც ხელისუფლება არ დაუშვებს. საქართველო ღიაა ნებისმიერი ადამიანისთვის, ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქისთვის, განურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა და პასუხისმგებელია მათ მიმართ არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფასა და მათი უსაფრთხოების დაცვაზე. საქართველოს ხელისუფლება იმოქმედებს ამ პასუხისმგებლობის შესაბამისად.

საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს საქართველოსთვის ომის თავიდან ასარიდებლად, ქვეყანაში მშვიდობისა და უსაფრთხოების დასაცავად და ყველა მიმართულებით სახელმწიფოებრივი რისკების დასაზღვევად“, - განაცხადა კობახიძემ.

ჟურნალისტის კითხვას, თუ აპირებს „ქართული ოცნებიდან“ ვინმე რუსთაველის გამზირზე მისვლას, სადაც დამონტაჟებული ეკრანიდან უკრაინის პრეზიდენტის ჩართვა იგეგმება, ირაკლი კობახიძემ უპასუხა: „მას შემდეგ, რაც უკრაინის ხელისუფლებამ სრულიად ალოგიკური ნაბიჯი გადადგა, რაც ელჩის გაწვევას უკავშირდება, ბუნებრივია, ასეთ დროს ხელისუფლების წარმომადგენელი ვერ იქნება იქ. ძალიან მარტივადაა აქ საქმე: მიუხედავად იმისა, რომ თანაგრძნობის ხარისხი უკრაინელების მიმართ ჩვენი მხრიდან არის გულწრფელი, განსხვავებით „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებისა, რომლებიც იქ იდგებიან, ჩვენ იქ ვერ მივალთ. ჩვენ ვერ ჩავეძიებით, აქ არახამიაა, ადეიშვილი თუ საააკაშვილი მიზეზი. როდესაც სახელმწიფოს მიმართ გადაიდგმება ალოგიკური ნაბიჯი, ამას რეაქცია უნდა ჰქონდეს. ჩვენ ნაწყენი ვერ ვიქნებით იმ ხელისუფლების მიმართ, რომელიც არის ომის მდგომარეობაში“, - აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

**ელენე საყვარელიძე**

# დედის გარეშე – პირველად...

მე-2 გვერდიდან

**ელნარ თურაძე:** - დედმამიშვილის ტკივილი შენი ტკივილია. ეს ტკივილი პირველად 10 წლის წინათ გავითავისე, როცა ავტოავარიამ იამზეს ერთგული თანამეცხედრე იმსხვერპლა. უფალი თურმე უარეს ტკივილსა და განსაცდელს მიმზადებდა - სამი თვის წინ იამზეც პანდემიამ შეიწირა. ყოველ დილით დისშვილები სკოლაში რომ მიდიან, ცრემლს ვერ ვიკავებ. გზააბნეული გემის ეკიპაჟს ზღვაზე ამოვარდნილი ქარიშხლის შემდეგ მანათობელი მთვარე რომ გზამკვლევად მოევლინება, ისე მოევლინა კახას და ანრის ბატონი თორნიკე რიჟვაძე. სიტყვას ყოველთვის დიდი ძალა აქვს, ყველაზე დიდ ძალას ვუსურვებ ბატონ თორნიკეს, რომ დედის დღეს, ამ გაზაფხულს ეს უდედმამო ბავშვები საკუთარი ჭერით ხვდებიან. ობლებისთვის გაწეულ ამაგს ყველაზე უკეთ უფალი აფასებს. ჰოდა, ღმერთი იყოს მათი შემწე ყველა კეთილ საქმეში.

**ამირან ბერიძე:** - იტყვიან, გაზიარებული ჭირი განახევრებულიაო. ადამიანებმა, პირველ რიგში, ბატონმა თორნიკემ ჩვენი ჭირი რომ გაიზიარეს, უმძიმესი ტვირთი მეც ჩამომეხსნა. დღემდე კახა და ანრი ყურადღების გარეშე არ დამიტოვებია, მაგრამ ამიერიდან, საკუთარი ჭერი რომ ექნებათ, მეტი სტიმული მექნება. ეკონომიურად არ გვიჭირსო, ვერ ვიტყვი. ხელისუფლებისგან, თვითმმართველობისგან ზრუნვას აქამდეც ვგრძნობდით, მაგრამ ობლებისთვის ბინის გადაცემამ ყველაფერს გადაამეტა.

**კახა ბერიძე:** - უფლის ნების გარეშე არა საქმე არ იქნების. ანრისაც იმ წერილის დაწერა უფალმა უკარნახა. მადლობა ყველას, ვინც ჩვენს საკეთილდღეოდ ნაბიჯი გადმოდგა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარის, ბატონი თორნიკეს ამაგს ძმები კარგი სწავლით, ადამიანის სიყვარულით, ერსა და ქვეყანაზე ზრუნვით დავაფასებთ. ვევედრები უფალს, რომ ბედნიერებამ, აღმასვლამ ჩვენს ცხოვრებაშიც დაისადგუროს. მსურს, ყველა დედას გაზაფხულის დღესასწაულები მივულოცო. გვიმძიმს, რომ წელს ამ ლამაზ დღეებს ანრი და მე დედის გარეშე პირველად ვხვდებით.

# მომენტი, როცა ერთად უნდა დავდგეთ



„არის მომენტები, როდესაც ერთად უნდა დავსხდეთ. მარტო „ქართული ოცნების“ ან „ნაცმოძრაობის“ გადმოსახედიდან, ჭუჭრუტანიდან არ უნდა უყურო და იმას არ ფიქრობდე, მღვრიე წყალია და თევზი დავიჭიროო. ამას რომ მივეჩვევით, მაშინ ჩვენ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ერი ვიქნებით“, - განაცხადა პარტია „მოქალაქეების“ თავმჯდომარე ალეკო ელისაშვილმა.

იგი ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით მთავრობის გადაწყვეტილებას მიესალმება და აცხადებს, რომ ახლა მთავარი ამ საკითხზე ყველას ერთსულოვნება და ერთად ყოფნაა.

„ახლა რაც მოგვეთხოვება ყველა ნორმალურ ქართველსა და, განსაკუთრებით, პოლიტიკურ კლასს, ვისაც მართლაც უნდა, რომ ევროკავშირის წევრები გავხდეთ და არა რუსეთის ღია აგენტურა - ჩვენ ხმამაღლა უნდა ვთქვათ, რომ მხარს ვუჭერთ ამ ისტორიულ გადაწყვეტილებას. ვისაც რა კონტაქტი და კომუნიკაცია გვაქვს, შევატყობინოთ, რომ ვართ ერთსულოვნები. ერთმანეთსა და მთავრობას ფეხი კი არ უნდა დავუდოთ, რადგან ეს ქვეყნისთვისაა მნიშვნელოვანი. არის მომენტები და სწორედ ახლაა ეს მომენტი, როდესაც ერთად უნდა დავდგეთ და ერთ მუშტად შევიკრათ.

ხელისუფლებამაც უნდა გადმოდგას ოპოზიციისკენ ნაბიჯი. გავაკეთოთ დროებითი უშიშროების საბჭოს ფორმატი ან საკოორდინაციო საბჭო, სადაც აზრებს გავცვლით. მაგალითად, აქამდე არ იყო გამოწვევა რუსეთიდან და ბელარუსიდან წამოსული ხალხი, როგორ მოვიქცეთ? ჩავუკეტოთ კარი თუ არა? მართლაც, პუტინისგან დევნილი, ლიბერალ ხალხთან ერთად რუსული აგენტურა მივიღოთ-არ მივიღოთ, ამაზე ერთად ვიფიქროთ“, - განაცხადა ელისაშვილმა.

**ამირან გურიელიძე**

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 4/03/22, 21 10 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# სამუდამოდ დარჩება ისტორიაშიც და თანაქალაქელთა ხსოვნაშიც





მანუჩარ შერვაშიძე უბრალოდ მსახიობი არ ყოფილა, მიუხედავად მისი სახალხო არტისტის წოდებისა, ჰქონდა და დარჩა უფრო ხმამაღალი სახელიც - ბათუმის სახე, მშობლიური ქალაქის წარმომადგენელი და სიამაყე, კოლორიტი მისი თავისთავადობისა და განუმეორებელი ინდივიდუალურობის გამო. თავის ნინიკოსთან (მეუღლე - ნინიკო საკანდელიძე 2021 წლის აგვისტოში გარდაიცვალა) ერთად მან დაამსხვრია სტერეოტიპი მსახიობთა ოჯახების სიმყიფის შესახებ. არათუ ხელოვანთა შორის, საზოგადოდ, მსოფლიოში იშვიათია წყვილი, რომელსაც ასე - ერთმანეთის სიყვარულით, ერთგულებით, სულიერი ერთიანობით მთელი სიცოცხლე გაეტარებინოს. აკი წელიწადიც ველარ გაძლო ბატონმა მანუჩარმა და ექვს თვეში გაჰყვა თავის ნინიკოს იმიერი ქვეყნის გზაზე.

დიახ, ბათუმს, საქართველოს აღარ ჰყავს დაუვიწყარი, ინდივიდუალიზმით გამორჩეული მხატვრული სახეების შემქმნელი, თეატრისა და კინოს ქართველი ვარსკვლავი, სახალხო არტისტი, ქალაქის კოლორიტი, ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობი მანუჩარ შერვაშიძე. მიუხედავად უკიდურესად დაძაბული რეალობისა, სადაც თითქოს ყველაფერი გადაფარა რუსულმა აგრესიამ უკრაინის მიმართ, ჩვენს საზოგადოებას მაინც ტყვიასავით მოხვდა გულში მანუჩარ შერვაშიძის გარდაცვალება, კაცის, რომელიც სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად. რამდენ ხელოვანს შეუძლია დაიტრაბახოს, რომ სახალხო გადმოცემების გმირად იქცა? ძალიან ცოტას, მაგრამ მათ შორის ნამდვილად არის მანუჩარ შერვაშიძე, რომლის დანახვაც კი ღიმილს გვგვრიდა მისი კინო თუ თეატრალურ როლებთან ასოცირების გამო. განსაკუთრებით დაიმახსოვრა ქართველმა და სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების მაყურებელმაც მანუჩარ შერვაშიძის მიერ შესრულებული დურუ ხუნჩუას როლი მხატვრულ ფილმში „რეკორდი“ (რეჟისორი - გურამ პატარაია), საიდანაც ფრაზები სახალისო გამონათქვამებად შერჩა ჩვენს მეხსიერებას, რომლებსაც შესაბამის სიტუაციაში ვიმეორებთ ხოლმე.

ტყიბულის რაიონის სოფელ მუხურაში დაბადებულის, თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის კურსდამთავრებულის შემოქმედებითი ბიოგრაფია ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში დაიწყო (1955 წელი) და აქვე დამთავრდა. ბატონი მანუჩარი სულით და მთელი ცხოვრებით შეენივთა ჩვენს ქალაქს, რომელიც მისთვის მშობლიურად იქცა. ოჯახიც, რომელიც ნინიკო საკანდელიძესთან ერთად ჯერ კიდევ თბილისში სტუდენტობისას შექმნა, ბათუმში ჩამოყალიბდა, აქ გაიზარდა მათი ქალიშვილი ქეთინოც, აქ მოიპოვა ამ გარეგნობით და ნიჭით კაშკაშა ცოლ-ქმარმა პირველად მაყურებლის სიყვარული, რომელიც შემდეგ მთელ საქართველოზე გავრცელდა. სათქმელია, რომ მანუჩარ შერვაშიძეს, კომედიურთან ერთად, დრამატული როლებიც შესანიშნავად გამოსდიოდა, თუმცა იგი უპირველესად მაინც სახასიათო, კომედიური როლებით შეიყვარა მაყურებელმა. ესენია: კოლმეურნე - მხატვრული ფილმიდან „ჩარი-რამა“ (ნიკოლოზ სანიშვილი), მგზავრი - „ნეილონის ნაძვის ხიდან“, სიპიტო - „წუთისოფლიდან“ (შოთა და ნოდარ მანაგაძეები) და სხვა.

„მანუჩარ შერვაშიძე საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1955 წლიდან გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, სადაც სასცენო ხელოვნების უნიკალური შედევრები შექმნა, რომელთა შორის განსაკუთრებულია: ხარიტონი („კოლმეურნის ქორწინება“), ნუგზარი („ზღვა და სიყვარული“), ჩინჩახელი („ეზოში ავი ძაღლია“), ყვარყვარე („ყვარყვარე თუთაბერი“), პოლონიუსი („ჰამლეტი“), ილარიონი („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“) ჯანიკო („როცა ქალაქს ძინავს“), ცამცუმი („აიეტი“) და მრავალი სხვა. მდიდარია ბატონი მანუჩარის მიერ შესრულებული ეკრანული სახეების პალიტრა, იგი ორმოცდაათზე მეტ ფილმშია გადაღებული.

ბატონი მანუჩარის შემოქმედება დაკავშირებულია ქართული თეატრისა და კინოს უდიდეს წარმატებებთან, მის მიერ შესრულებული მხატვრული სახეები ქართული საშემსრულებლო ხელოვნების ისტორიის ოქროს ფონდის განუყოფელი ნაწილია.

ქართული თეატრის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ბატონ მანუჩარ შერვაშიძეს მიენიჭა აჭარის დამსახურებული (1961 წ.), საქართველოს დამსახურებული (1967 წ.) და საქართველოს სახალხო არტისტის (1982 წ.) საპატიო წოდებები. იგი იუსუფ კობალაძისა და უშანგი ჩხეიძის სახელობის პრემიების ლაურეატია, 2010 წელს მიენიჭა ბათუმის საპატიო მოქალაქის წოდება, ბათუმის დრამატული თეატრის წინ გახსნილია მანუჩარ შერვაშიძის სახელობის ვარსკვლავი, მინიჭებული აქვს „დიდასკალოსის“ საპატიო წოდება.

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი გამოთქვამს ღრმა მწუხარებას დიდი ქართველი მსახიობის, ბატონი მანუჩარ შერვაშიძის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს მის ოჯახს, მეგობრებს, ქართული თეატრის გულშემატკივრებს“, - წერია განცხადებაში, რომელიც ბათუმის დრამატული თეატრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.



არ არსებობდა ქალაქისა და ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ფაქტი თუ მოვლენა, რომელიც გულთან ახლოს არ მიეტანა, მის მიმართ საკუთარი შეფასება, პოზიცია არ ჰქონოდა. ცხადია, გული შესტკიოდა მშობლიურ თეატრზე და აქ განხორციელებულ ცვლილებებშიც თავისი წვლილი შეჰქონდა.

ძალიან სამწუხაროა, რომ ამიერიდან ვეღარსად დავინახავთ გამორჩეული, სახასიათო გარეგნობის, ფაქიზად ჩაცმულ (ხშირად - თეთრებში) სიმპატიურ მამაკაცს, რომელსაც ყველა ვიცნობდით, რადგან ბათუმის ორგანული ნაწილი იყო, თუმცა დარჩება მანუჩარ შერვაშიძის ვარსკვლავი, რომელიც დრამატული თეატრის შესასვლელში ყველას შეახსენებს ამ დიდი არტისტის ნათელ სახეს, დარჩება მისი შესრულებული მხატვრული სახეები მანამ, სანამ საქართველო და ხელოვნება იარსებებს.

თანაქალაქელები დღეს ემშვიდობებიან კაცს, ხელოვანს, პატრიოტს, რომელსაც მშობლიური თეატრიდან 15.00 საათზე გამოასვენებენ და ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძრის ეზოში დაკრძალავენ, აქ იპოვის სამუდამო განსასვენებელს და ასევე სამუდამოდ დარჩება არა მარტო ქართული თეატრისა და კინოს, მშობლიური ქალაქისა და ქვეყნის ისტორიაში, არამედ უბრალო თანაქალაქელების ხსოვნაში, როგორც ბათუმური მოზაიკის ერთი წარუშლელი ფერი.

**მარინა მითაიშვილი**



# ვეტერანთა სპორტის ფედერაცია 10 წლისაა

**მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97**



აჭარის ვეტერანთა სპორტის ფედერაცია ათი წლის წინ შეიქმნა. მის ხელმძღვანელად იმთავითვე აირჩიეს ჩვენი ქალაქის სპორტულ სამყაროში კარგად ცნობილი, თავის დროზე მასობრივი სპორტის წარმატებული მუშაკი, ყოფილი მოჭიდავე და ამ ასაკშიც (80 წელს რამდენიმე წლით გასცდა) ძალიან აქტიური შალვა ტაბაღუა, რომელიც დღემდე წარმატებით უძღვება ფედერაციას. აჭარის სპორტის დეპარტამენტის, ბათუმის მერიისა და ბულვარის დირექციის ხელშეწყობით, აქ მცხოვრები ვეტერანებისთვის ის ხშირად აწყობს სხვადასხვა საინტერესო სპორტულ ღონისძიებას, რომელშიც არა მხოლოდ სპორტის ვეტერანები, არამედ ქალაქში მცხოვრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანები მონაწილეობენ. ბატონი შალვა ვეტერანებს, ღვაწლმოსილ ადამიანებს ცხოვრებას ულამაზებს და საინტერესოს ხდის. ამ დღეებში მან ბათუმის ზღვისპირა პარკში, ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ვეტერანთა კლუბში მოაწყო სპორტის ვეტერანთა ფედერაციის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი ღია ტურნირი ქართულ ნარდში ვეტერანთა შორის.

ქალთა შორის ყველას აჯობა ანა ნიკოლაიშვილმა, მეორე და მესამე ადგილებზე კი შესაბამისად გავიდნენ ეთერ ჩავლეიშვილი და მედეა ბიბილეიშვილი.

მამაკაცებში დამაჯერებლად გაიმარჯვა თამაზ კაკაბაძემ, მეორე საპრიზო ადგილზე ჯუმბერ ხიმშიაშვილი გავიდა, მესამეზე - ოთარ დოჭვირი.

აბსოლუტური გამარჯვებულის ნომინაციაშიც თამაზ კაკაბაძემ გაიმარჯვა.

საიუბილეო შეჯიბრებას თავად ვეტერანთა სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი შალვა ტაბაღუა უძღვებოდა.